www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 25 თებერვალი, 2006 წელი. №40 (1192) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### რა უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ საბანკო კრიზისის დროს

სავალუტო ფონდი ახალ რეკომენდაციებს გვიმზადებს

A2

## პოლიტიკა

### ლუსტრაცია - აქტუალური და უპერსპექტივო

როგორც ირკვევა, ლუსტრაციის კანონს "ფარული თაყვანისმცემლები" უმრავლესობის შიგნით მაინც ჰყავს.

A3

## პოლიტიკა

### საგანგებო მდგომარეობა ფილიპინებზე

ფილიპინებზე, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა გლორია აროიომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

A3

## სამართალი

### დაბნეული გამოძიება

რამდენიმე დღის წინათ სიღნაღის პოლიციაში გამოცხადდა სოფელ საქობოს მკვიდრი მირიან მირიანაშვილი 2003 წელს ჩადენილი ალა სესიტაშვილის მკვლელობის აღიარებით. არადა, ამ მკვლელობის გამო, უკვე იხდის სასჯელს წნორელი ივანე დევიძე.

A4

## სპორტი

### ტოპმიოლერს ბებმები აერია

თუმცა, ცვლილება მთლიან გეგმაზე დიდ ზეგავლენას მაინც ვერ მოახდენს.

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 25/02 | 26 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 17 |
| ქუთაისი | 16 | 16 |
| სოხუმი | 16 | 16 |
| გორი | 12 | 13 |
| ონი | 10 | 9 |
| ზუგდიდი | 18 | 18 |
| სამტრედია | 17 | 18 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირთანეთ სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| კვირა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ვირუსი საქართველოშიც დაფიქსირდა

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*გუშინ, ღამის 3 საათზე ბათუმში, ადლიის საბაჟო ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე გარეული ფრინველის მასობრივი დაცემის ფაქტი დაფიქსირდა. როგორც აჭარაში ფრინველის გრიპთან მებრძოლი შტაბის ხელმძღვანელმა ილია სირაბიძემ განაცხადა, დაცემულ ფრინველებს შორის ზოგიერთი, გარეგნული ნიშნებით სასიკვდილო ვირუსით არის დაავადებული. ანალიზები გადაგზავნილია ლონდონისა და ვენეციის ლაბორატორიებში. შემთხვევის ადგილზე ჩასული, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, პირველ რიგში, ფრინველის დაცემის შემთხვევების სწრაფად დაფიქსირებას, მოსახლეობის პრევენციასა და ყველა სახის ღონისძიების დროულად გატარებას მოითხოვს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



ადლიის ტერიტორიაზე სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს.

# შუამდინარული გამბიტი

### დაპირისპირება ერაყში - ბზარი მუსლიმურ ერთიანობაში

ნიკა თარაშვილი

*პოლიტიკური ვაკუუმი ერაყში უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ნავთობით მდიდარი ქვეყანა აგონიაში იმყოფება. ერაყის მთავარმა სუნიტურმა ბლოკმა შეწყვიტა ახალი მთავრობის შექმნის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებაში მონაწილეობა. ბლოკი აცხადებს, რომ შიიტური სალოცავის დაზიანების შემდეგ შიიტები ქვეყანაში ძალადობას აღვივებენ. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ ააფეთქა ქალაქ სამარაში მდებარე შიიტური სალოცავი. აფეთქებამ მთელი ქვეყნის მასშტაბით სუნიტების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები გამოიწვია. რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებების მსხვერპლთა რიცხვის ყოველდღიურად ზრდასთან ერთად, დასავლეთის მიერ "შეურაცხყოფილ" მუსლიმთა ერთიანი ფრონტი თეირანის აუხდენელ ოცნებას ემსგავსება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ჯერჯერობით ბუნდოვანი რჩება, ვის ინტერესებს წაადგება შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების გაღვივება.


გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია:
გამრეკელის ქ. №51
(შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან)
ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86





# "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის ქრონიკა

*სულ ცოტა ხნის წინ "ფრინველის გრიპმა" საქართველოს მეზობელ ქვეყნებს - უკრაინასა და თურქეთს გადაუარა. კრიზისს ამ ქვეყნებისთვის სხვადასხვა შედეგები ჰქონდა. უკრაინაში, ფრინველის მასობრივი დაცემის მიუხედავად, ადამიანის დაავადების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. თურქეთში კი ამ დაავადებას რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა.*

### უკრაინა

2005 წლის 3 დეკემბერი - ყირიმის სამ რაიონში შინაური ფრინველის მასობრივი დაცემა დაფიქსირდა. ერთი ღამის განმავლობაში 1500 ფრთა ფრინველი დაიხოცა. მიზეზების დადგენა ადგილობრივმა სპეციალისტებმა დაიწყეს, ანალიზის შედეგად "ფრინველის გრიპის" ვირუსის არსებობა დადასტურდა. დამატებითი ანალიზებისთვის სინჯები ბრიტანეთისა და იტალიის ლაბორატორიებში გაიგზავნა. ყირიმში აიკრძალა აგრარულ ბაზრებში ცოცხალი ფრინველისა და მეფრინველეობის პროდუქციის რეალიზაცია. მთელ უკრაინაში აიკრძალა გარეულ ფრინველზე ნადირობა.

5 დეკემბერი - ვირუსის გავრცელების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უკრაინის აგრარული პოლიტიკის სამინისტრომ ცხელი ხაზი აამოქმედა. უკრაინის მთავრობამ გამოსცა განკარგულება მოსახლეობის იმუნიზაციის შესახებ. განადგურდა 3 ათასზე მეტი ფრთა შინაური ფრინველი. სოფლებში შემოიღეს საკარანტინო შეზღუდვები, სამკილომეტრიანი დამცავი ზონა. ამ ზონაში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევა, დაწვეს დაღუპული ფრინველები.

პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო უბედურების ზონაში ჩავიდა. მან შექმნილი მდგომარეობა ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელობის დაუდევრობით ახსნა. საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თანამშრომლები ფრინველებს იჭერენ და მათ მფლობელებზე კომპენსაციებს გასცემენ. ერთ ამოღებულ ქათამში ხელისუფლება მოსახლეობას დაახლოებით 2,5 დოლარს უხდის, ცოტათი მეტს - იხვსა და ინდაურში. კარანტინის ზონები 3 და 10 კილომეტრში განლაგებული კორდონების ალყაშია.

6 დეკემბერი - ყირიმში, პრეზიდენტ იუშჩენკოს ბრძანებით, საგანგებო მდგომარეობა ცხადდება. რეგიონში ნიდერლანდების წარმოების, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის 50 ათასი დოზა ჩაიტანეს. ამ დროისთვის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ 360 ადამიანი იმყოფება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო ეუთო-ს სამშვიდობო მისიის ინტერნაციონალიზებას სთხოვს

### მოსკოვი დათანხმდა, სამი პრობლემური საკითხი განიხილოს

*ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, რიგით მეხუთე, ზამთრის სესიაზე საქართველო-რუსეთს შორის არსებული პრობლემები განიხილეს და ვენაში დაგეგმილ, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩაშლის მიზეზებზეც ისაუბრეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა ეუთო-ს 30-მდე წევრი სახელმწიფოს ელჩებთან.*

ნათია მსხილაძე

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მოუწოდა, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდნენ, გამოიჩინონ თავშეკავება ცალმხრივი ქმედებებისგან, რამაც, შესაძლოა, სიტუაციის გაუარესება გამოიწვიოს. **"ახლა მნიშვნელოვანია დიალოგის განახლება. 2005 წლის დეკემბერში ლუბლიანაში, ეუთო-ს მინისტერიალზე საქართველოს შესახებ მიღებული განცხადების სულისკვეთების საფუძველზე, ყველა მხარემ კონსტრუქციული პოზიცია უნდა დაიკავოს. არსებობს გადაუდებელი საკითხები, როგორიცაა სასწრაფო დემილიტარიზაცია და სხვა სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც უნდა მოგვარდეს,"** - აღნიშნა მან. "სამხრეთ ოსეთში" არსებული ვითარება კარელ დე გუხტმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან სატელეფონო საუბრის დროს განიხილა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახალხო დამცველი გურამ დონაძის წინააღმდეგ

*პირველი ოფიციალური პირი, ვინც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ირგვლივ გავრცელებულ ხმებს, მართალია, ირიბად, მაგრამ მაინც ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გახლავთ - მან განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს და სამინისტროს ადმინისტრაციის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის გურამ დონაძის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.*

როგორც ცნობილია, სანდრო გირგვლიანის სასტიკად ნაწამები ცხედარი 2006 წლის 27 იანვარს, ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. მოკლულის ოჯახი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მომხდარის ობიექტურად გამოსაძიებლად საქმის პროკურატურისთვის გადაცემას და ყველა იმ პირის (მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების და ვანო მერაბიშვილის მეუღლის) დაკითხვას ითხოვენ, ვინც შეესწრო იმ ინციდენტს, რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე "შარდენ-ბარში" მოხდა.

მეტიც, გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან ჩატარებულ საპროტესტო აქციაზე, რომელშიც ასამდე ადამიანი და სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები მონაწილეობდნენ, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ოპოზიციური მოძრაობის ლიდერები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიების პირად კონტროლზე აყვანას ითხოვდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სამხედრო მანევრები აფხაზეთში

### დე ფაქტო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები წვრთნას აძლიერებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გუშინ მორიგი სწავლება დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებენ თავდაცვის სამხედრო საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალები.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, სწავლების მიზანი პირობითი მოწინააღმდეგის საავიაციო დარტყმების მოგერიების დამუშავებაა.

გასულ კვირას აფხაზურ ჯარში მორიგი საშტაბო-სამეთაურო სწავლება ჩატარდა, რომელიც საჭიროების შემთხვევისათვის სამობილიზაციო პუნქტებისა და ტექნიკის წინასწარი თავმოყრის ადგილების მზადყოფნის შემოწმებას ითვალისწინებდა. მასში მონაწილეობა რეზერვისტთა მეთაურების გარდა, აფხაზური შეიარაღებული ძალების ოფიცრების საშტატო შემადგენლობამ მიიღო. აფხაზურ არმიაში სამხედრო სწავლებებს აფხაზური შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი ხელმძღვანელობს.

2005 წელს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზურ შეიარაღებულ ძალებში სწავლება 5-ჯერ ჩაატარა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთის ხელისუფლებამ თავდაცვის სამინისტროს 7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოუყო. იმავე წყაროს ცნობით, აფხაზურ ჯარს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამარაგებს.

აფხაზური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას რეზერვისტთა მომზადებას ანიჭებს. 1992-1993 წლების შემდეგ აფხაზეთში ყველაზე ფართომასშტაბიანი სწავლება სწორედ შარშან ჩატარდა და მასში მონაწილეობა 6 ათასმა რეზერვისტმა მიიღო.

სწავლების ფარგლებში დაზუსტდა საჭიროების შემთხვევაში რეზერვისტთა ბატალიონების გამოცხადებისა და მათ მიერ საბრძოლო იარაღის მიღების პუნქტები.

აფხაზეთის თავდაცვის მინისტრად პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა 2005 წელს მთიელ ხალხთა კონფედერაციის ერთ-ერთი ლიდერი, აფხაზეთის გმირი, გენერალი სულთან სოსნალიევი დანიშნა. მის მოადგილედ მუშაობს რუსეთის არმიის გენერალი ანატოლი ზაიცევი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სამხედრო საკითხებში სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის მრჩეველი იყო.

*ინტერპრესნიუსი*

## ვირუსი საქართველოშიც დაფიქსირდა

პირველი გვერდიდან

საქართველოს შავიზღვისპირეთი, კერძოდ კი მდინარე ჭოროხის შესართავი გადამფრენ ფრინველთა ტრასების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს. აქედან გამომდინარე, ფრინველის გრიპის შემოსვლისა და გავრცელების ყველაზე დიდ სასშიშროებას სწორედ ხსენებული ტერიტორია წარმოადგენს. მართლაც, გუშინ, ღამის 3 საათზე, ადლიის საბაჟო ტერმინალთან ფრინველების მასიური დაღუპვის ფაქტი დაფიქსირდა. აჭარაში ფრინველის გრიპთან ბრძოლის შტაბის ხელმძღვანელის, ილია სირაბიძის განცხადებით, ჯერჯერობით ნაპოვნია 11 დაღუპული გედი: **"ღამით, ტბის პირას 9 დაღუპული გედი ამოვიღეთ. 2 შიგნით, ტბაში იყო და მათ გამოსატანად ნავი დაგვჭირდა. ჩვენი ინფორმაციით, დაღუპული ფრინველები აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე წყალსატევებშიც არიან. დაღუპულ ფრინველთაგან გრიპის გარეგნული ნიშნები ზოგს აქვს. შესაძლებელია, ვირუსი დადასტურდეს. ჩვენთვის მთავარია, ჩავატაროთ სადეზინფექციო სამუშაოები და მოსახლეობა იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული, თუ როგორ უნდა მოიქცეს. მობილიზებულია მობილური ჯგუფები. დაცულია პერიმეტრები. ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. ჯერჯერობით შინაური ფრინველის დაცემის ფაქტები არ არის აღმოჩენილი."**

აჭარაში ფრინველის ვირუსთან მებრძოლ შტაბს კურირებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ედუარდ ფუტკარაძე უწევს. მისი განცხადებით, ფრინველები სავარაუდოდ გრიპის ვირუსით იყვნენ დაავადებულნი: **"ბუნებრივია, გრიპის შემოსვლის ალბათობა ძალზე დიდი იყო. ანალიზები გადაგზავნილია ლონდონისა და ვენეციის ლაბორატორიებში. ჩვენ ვღებულოთ ყველა ზომას: ვატარებთ სადიზენფიქციო სამუშაოებს, მკაცრად შეზღუდული გვაქვს ნადირობა. ბუნებრივია, სამუშაოებს კიდევ უფრო გავააქტიურებთ."**

აჭარის გარემოს დაცვის ინსპექციის სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თემურ ბერიძის განცხადებით, ამ ზონაში სეზონის განმავლობაში ნადირობის მხოლოდ ერთი ფაქტია დაფიქსირებული. **"ეს იყო ახალსოფელში, სამხედრო პოლიგონის ტერიტორიაზე. მონადირეს ჩამოერთვა სანადირო თოფი, ამოღებული იქნა ფრინველი - ორი მოკლული ბატი, რომელიც ლაბორატორიებს ექსპერტიზაზე გადავეცით,"** - ამბობს თემურ ბერიძე.

ფრინველის გრიპის ფაქტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, ბათუმში ჩამოფრინდა საქართველოს პრემიერმინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. მან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მაქსიმალური მობილიზებისკენ მოუწოდა: **"ყველაზე მეტად საყურადღებოა ის, რომ არ იყოს შინაური ფრინველის დაცემის ფაქტები. თუ კი იქნება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოვაჩინოთ ის, რათა ჩავატაროთ სალიკვიდაციო სამუშაოები. მთელ მსოფლიოში პრაქტიკულად აღარ არის შესაძლებელი ფრინველის გრიპის თავიდან აცილება. ამიტომ საჭიროა ფაქტების სწრაფი დეტექტირება, სწრაფი აღმოჩენა და სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარება. პრინციპში, ფაქტი ჩვენთან ბევრად უფრო გვიან დაფიქსირდა, ვიდრე, მაგალითად, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთი, იტალია და გერმანიაა. სადაც გრიპის ვირუსი იქნება დაფიქსირებული, იმ პერიმეტრში უნდა მივიდნენ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისად ჩაცმული და აღჭურვილი პირები. თუკი ამის საჭიროება გაჩნდება, პერიმეტრის დასაცავად პოლიცია გამოიყოფა. მონიტორინგს გავამკაცრებთ მთლიანად ხელვაჩაურის რაიონში. მთავრობის სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აკრძალულია შინაური ფრინველის ეზოსა და ქუჩაში გამოშვება. აკრძალულია მათთან კონტაქტი. ასევე აიკრძალა შინაური ფრინველით ვაჭრობა მთელ საქართველოში და, პირველ რიგში, აჭარაში. რაც შეეხება ადამიანებს, ფრინველის გრიპთან მებრძოლი შტაბი ჯანდაცვის სამინისტროშიც არსებობს, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრულად მობილიზებულია. ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ ვისაც სიცხე და გრიპის ნიშნები აქვს, ყველამ გაიაროს შემოწმება. არავითარ შემთხვევაში დაავადებულმა ადამიანებმა თვითმკურნალობას არ უნდა მიმართონ. აჭარაში ყველა საჭირო სახის მედიკამენტი თავმოყრილია."**

პრემიერ-მინისტრთან ერთად ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი. იგი ბათუმში რამდენიმე დღე დარჩება და ფრინველის გრიპთან ბრძოლის საკითხებს გააკონტროლებს. მინისტრი მოსახლეობას შემდეგი ზომების გატარებას სთხოვს: **"შინაური ფრინველი ჩაკეტილი უნდა ჰყავდეთ საქათმეებში. რაც შეეხება ლიკვიდაციას, თუ საჭირო გახდება, ამაზეც მივიღებთ გადაწყვეტილებას."**

მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია ქობულეთის რაიონში შინაურ ფრინველში გრიპის სიმპტომების დაფიქსირების შესახებ. თუმცა, ამ ფაქტს აჭარის ვეტდეპარტამენტში არ ადასტურებენ.



*მთავრობა ექსპერტიზის დასკვნებს არ ელოდება და მოქმედებას იწყებს.*

**"ჩვენ არ შეგვიძლია, ლონდონიდან და ვენეციიდან მიღებულ დასკვნებს ველოდოთ,"** - განაცხადა მთავრობის სხდომაზე ნოღაიდელმა, რის შემდეგაც სოფლის მეურნეობის მინისტრთან, მიხეილ სვიმონიშვილთან ერთად აჭარაში გაემგზავრა. **"დაცემული ფრინველებიდან რამდენიმე საფანტით იყო დაჭრილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნადირობა კვლავ გრძელდება. განსაკუთრებით ყურადღება მინდა გამახვილდეს სამ ადგილზე - ეს არის კოლხეთის დაბლობი, ჯავახეთის ტბები და კახეთის გზა, რომლითაც გადამფრენი ფრინველები სარგებლობენ. მინდა მოვუწოდო ყველას, რომ ნადირობა შეწყვიტონ,"** - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და განსაკუთრებული დავალება მისცა გარემოს დაცვის მინისტრს, რათა კიდევ უფრო გაამკაცროს ზედამხედველობა ფრინველების გადაფრენის ადგილებში მონადირეებზე და კატეგორიულად აიკრძალოს ნადირობა. განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრებს მოსახლეობისთვის იმ ბუკლეტების დარიგება დაევალათ, რომლებიც ქათმის ვირუსის თავიდან აცილების მიზნით რამდენიმე თვის წინ დაიბეჭდა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა მოსახლეობას, რომ ფრინველის გრიპით დაავადებულ ადამიანს მწვავე სურდოს კლინიკური ნიშნები აღენიშნება. **"ადამიანის ორგანიზმში ვირუსის ბაცილების შეღწევისთანავე, სხეულის ტემპერატურა მატულობს, დაავადებულს აწუხებს ციება, ცხვირიდან გამონადენი. ერთადერთი, რაც ფრინველის გრიპს მწვავე სურდოსგან გამოარჩევს, ნახველში სისხლისა და ჩირქის არსებობაა,"** - აღნიშნა მან.

დღეისათვის ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა აზიის ქვეყნებში გამოიყენება. აზიის ქვეყნებში ვაქცინას მოსახლეობაში არსებული ფრინველის ასაცრელად იყენებენ. **"ევროპის ქვეყნებში კი მიიჩნევენ, რომ ფრინველის გრიპისგან დასაცავად ვაქცინა ქმედითუუნაროა. დეზინფექცია და ეპიდემიის შემთხვევაში ფრინველის დახოცვა თავდაცვის გაცილებით უფრო ეფექტური გზაა,"** - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველმა ვეტერინარიის დარგში ლევან რამიშვილმა.

"ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო პრეპარატ "ტამი-ფლუს" პირველი პარტია საქართველოში უკვე შემოტანილია. **"მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს. საქართველოს მთავრობა უკვე რვა თვეა მობილიზებულია ამ დაავადებასთან საბრძოლველად. უახლოეს მომავალში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მედიკამენტის დამატებით რაოდენობას კიდევ შემოვიტანთ,"** - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

## რა უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ საბანკო კრიზისის დროს

### სავალუტო ფონდი ახალ რეკომენდაციებს გვიმზადებს

თინა შავაძე

საქართველოში საფინანსო პროგრამის შეფასების მისია ჩამოვიდა. ორი კვირის განმავლობაში მისია ქვეყნის საბანკო სექტორსა და საფინანსო სფეროში 2001 წლის შემდეგ მომხდარ ცვლილებებს შეისწავლის. უცხოელი ექსპერტები, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტს მოამზადებენ, რომელსაც საქართველოს მთავრობას წარუდგენენ. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ შემუშავებულ დოკუმენტში აისახება ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ქვეყნის საფინანსო სექტორში არსებობს. სამომავლოდ დოკუმენტს საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოსთან მიმართებაში გამოიყენებს, ანუ იმ სავალდებულო რეკომენდაციებს დაასახელებს, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს.

გუშინ საქართველოს ეროვნულ ბანკში საფინანსო სისტემის შეფასების პროგრამის მისიის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონეტარული და საფინანსო სისტემის დეპარტამენტის მრჩეველმა სტივენ სილიგმა მოაწყო პრეზენტაცია თემაზე - "სისტემური საბანკო კრიზისები: მიზეზები და შედეგები". სილიგი ამბობს, რომ "კრიზისულ სიტუაციას კომერციული ბანკების მიერ საბალანსო და სხვა ტიპის ანგარიშების არაკვალიფიციურად მომზადება, პრობლემური სესხებისა და დოლარიზაციის მასშტაბების ზრდა იწვევს. გარდა ამისა, საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია საზედამხედველო პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა."

უცხოელ ექსპერტს მიაჩნია, რომ საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა თანმიმდევრული და ურთიერთშეთანხმებული ნაბიჯები გადადგან. ამ ნაბიჯების გაუთვალისწინებლობის გამო 1997 წელს ინდონეზიაში და 1998 წელს რუსეთში საფინანსო კრიზისები განვითარდა.

რაც შეეხება უცხოელი ექსპერტების არჩევანს თემაზე - "სისტემური საბანკო კრიზისები: მიზეზები და შედეგები". ქართველი ექსპერტების ერთმა ნაწილმა გამოთქვა ეჭვი, რომ უცხოელებმა თემაზე არჩევანი მიზანმიმართულად გააკეთეს და შესაძლოა, მომავალში ქვეყანაში ასეთი საფრთხე გაჩნდეს.

## "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის ქრონიკა

პირველი გვერდიდან

დაზარალებული რაიონებისათვის დამატებითი სამედიცინო აპარატურა გაიგზავნა.

7 დეკემბერი - შესაძლო პანდემიის ზონა ყირიმში ფართოვდება. შინაური ფრინველის დაღუპვა კიდევ 6 სოფელში გამოვლინდა.

8 დეკემბერი -საკარანტინო ზონებში 32,5 ათასი ფრინველია ამოღებული, მათი სადგომები სპეცხსნარით დამუშავდა. ფრინველს სპეციალურად გამოყოფილ სამარხზე აგროვებენ, დეზინფექციას უტარებენ, შემდეგ კი ტომრებში ათავსებენ და ორმოებში ცოცხლად წვავენ. ამის ამსახველი ტელესიუჟეტების შემდეგ გაისმის განცხადებები საკითხის მორალური მხარის შესახებ. ფრინველის გრიპით ადამიანების დაავადება რეგისტრირებული არ არის.

11 დეკემბერი - ამოღებულია 44 ათასი ფრთა ფრინველი, ვაქცინაცია 12 ათას ადამიანს ჩაუტარდა.

27 დეკემბერი - სულ განადგურებულია 70 ათასი ფრთა ფრინველი. დეზინფექცია გრძელდება.

### თურქეთი

თურქეთში "ფრინველის გრიპის" არსებობა მხოლოდ ადამიანების დაავადების შემდეგ გახდა ცნობილი. 3 იანვარს ქალაქ ვანის საავადმყოფოში, სავარაუდოდ, ფრინველის გრიპის დიაგნოზით, ექვსი ადამიანი მოხვდა. პირველად 14 წლის მოზარდი გარდაიცვალა. 5 იანვარს - მისი და. ჰოსპიტალიზებულია საეჭვო სიმპტომების მქონე კიდევ 7 ადამიანი.

6 იანვარს, დაღუპული მოზარდის კიდევ ერთი, 11 წლის და გარდაიცვალა. ვანის საავადმყოფოში 23 ადამიანია ჰოსპიტალიზებული, ცხრას "ფრინველის გრიპის" დიაგნოზი დაუდასტურდა. სულ გრიპი ხუთ პროვინციაში გავრცელდა.

7 იანვარი - ფრინველის გრიპის შემთხვევები საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, ყარსის, ერზერუმისა და იგდირის ვილაიეთებში დაფიქსირდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ რეგიონში შინაური ფრინველის განადგურების განკარგულება გასცა. ფრინველების მასიური განადგურება მთელ თურქეთს მოედო. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, პანდემიით მოცულ რეგიონებში ანალიზების ჩასაბარებლად რიგები დადგა.

8 იანვარი - გამოვლენილია დაავადების ახალი კერა - პროვინცია ბურსა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ადამიანების დაავადების შემთხვევები თურქეთის აღმოსავლეთში კიდევ ხუთ რაიონში გამოვლინდა. საავადმყოფოებში სულ 50 ადამიანი იქნა მოთავსებული. წინა ორი დღის განმავლობაში 30 ათასამდე ფრინველი განადგურდა.

9 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ თურქეთში ორმოცდაათამდე ადამიანის "ფრინველის გრიპით" დაავადება დაადასტურა. ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორის კლაუს შორის განცხადებით, დაინფიცირებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდა უშუალოდ უსაფრთხოების ზომების უკმარისობას უკავშირდება. სულ დაავადების კერები თურქეთის 12 პროვინციაში დაფიქსირდა.

10 იანვარს ფრინველის მასობრივი დაცემა ეგეოსის ზღვის პირას მდებარე საკურორტო რეგიონებში დაფიქსირდა. პანიკა ცენტრალურ პროვინციებს და სტამბოლის გარეუბნებს მოედო. საშიშროების მიუხედავად, მოსახლეობა ხშირად წინააღმდეგობას უწევს სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც ფრინველების განადგურება ევალებათ.

12 იანვარი - ფრინველის გრიპი უკვე თურქეთის 22 პროვინციაშია რეგისტრირებული. ამ რეგიონებში უკვე 306 ათასი ფრინველია განადგურებული.

15 იანვარი - "ფრინველის გრიპით" თურქეთის ქალაქ ვანში 12 წლის გოგონა დაიღუპა. იგივე დიაგნოზი მის 5 წლის ძმას დაუდგინდა. სულ ამ დროისთვის H5N1 ვირუსის დიაგნოზით ამ ქვეყანაში 5 ადამიანი გარდაიცვალა. ოფიციალური სტატისტიკით, დაავადებულია 19 ადამიანი. პანდემია 27 პროვინციას მოედო. ქვეყანაში ნახევარ მილიონამდე ფრთა შინაური ფრინველი განადგურდა.

*24 საათი*

## მოკლედ

### ელექტროენერგიის მიწოდება მომავალ კვირას აღდგება

სამტრედიის რაიონში სოფელ დაფნართან მოსახლეობამ ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის დაჩქარების მოთხოვნით აქცია გამართა. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, 3 კვირის წინ მომხდარი დიდთოვლობის გამო დაფნარის მაღალი ძაბვის ქვესადგურში დაზიანდა 16-მეგავატიანი ძალოვანი ტრანსპორმატორი, რომელზეც დამოკიდებულია 2500 აბონენტის ენერგომომარაგება.

ენერგოკომპანიის ტექნიკურმა სამსახურმა სცადა აღნიშნული ტრანსფორმატორის შეკეთება, მაგრამ დაზიანების ხარისხი იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ტრანსფორმატორი ვერ შეკეთდა.

ალტერნატიული ტრანსფორმატორის მონტაჟი მომავალ კვირას იგეგმება. შესაბამისად, მოსახლეობას ენერგომომარაგება ჩვეულებრივ რეჟიმში აღუდგება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რკინიგზაზე კომპლექსური მოსაკრებელი დაწესდება

პირველი აპრილიდან საქართველოს რკინიგზაზე, ნებისმიერი სახის ტვირთის გადაზიდვისას, გადასახადები მარტივდება. ექსპედიტორი აქამდე არსებული ორი ათეული დამატებითი გადასახადის ნაცვლად ერთიან საფასურს გადაიხდის.

"საქართველოს რკინიგზის სადგურში მოქმედ კლიენტის მომსახურების ცენტრში ტვირთის დამუშავებაზე ერთიანი ტარიფი იარსებებს. გამარტივებული აღრიცხვიანობა გადამზიდავებისთვის დროის დაზოგვასა და რკინიგზასთან მოწესრიგებულ თანამშრომლობას განაპირობებს. კომპლექსური მოსაკრებელი გააუმჯობესებს რკინიგზის სადგურების მუშაობასა და სატვირთო გადაზიდვების მომსახურებას," - აცხადებენ რკინიგზაში.

ასევე, იგეგმება ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ხელსაყრელი იქნება გადამზიდავი კომპანიებისა და ექსპედიტორებისთვის. აღნიშნული რკინიგზასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის თანამედროვე ფორმის დანერგვასა და პროცედურების გამარტივებას უზრუნველყოფს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ამერიკან ექსპრესმა" "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" ლიმიტი გაუზარდა

"ამერიკან ექსპრესმა" "გაერთიანებულ ქართულ ბანკს", სამგზავრო ჩეკების რეალიზაციის მიზნით, ლიმიტი 100 პროცენტით, 1 მლნ აშშ დოლარის მოცულობით გაუზარდა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" საოპერაციო სამმართველოს უფროსის ნინო კურტანიძის განცხადებით, ლიმიტის გაზრდა ბანკს საშუალებას მისცემს, დედაქალაქთან ერთად, ყველა რეგიონულ ფილიალსა და სერვისცენტრში შეუფერხებლად მოახდინოს სამგზავრო ჩეკების რეალიზება, რაც აქამდე, აღნიშნულ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა.

"ამერიკან ექსპრესმა" "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" აღნიშნული ლიმიტი კონსიგნაციის პრინციპით გაუზარდა, რაც კურტანიძის განცხადებით, აღიარებული ამერიკული საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან "გაერთიანებული ქართული ბანკისადმი" ნდობის მაღალი ხარისხის გამოხატულებაა.

სამგზავრო ჩეკი ფულთან ეკვივალენტურად გათანაბრებულ ფასიან ქაღალდს წარმოადგენს. სამგზავრო ჩეკი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინტენსიური ტურისტული, თუ საქმიანი ვიზიტებისას, რამდენადაც სამგზავრო ჩეკის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელი არ ზარალდება, რადგან ნომინალის აღდგენა მარტივადაა შესაძლებელი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

"გაერთიანებული ქართული ბანკი" სამგზავრო ჩეკების რეალიზებას 2001 წლიდან ახდენს.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### გელა ბეჟუაშვილმა რუს კოლეგას სამძიმრის წერილი გაუგზავნა

24 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა თავის რუს კოლეგას სერგეი ლავროვს სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

მინისტრმა გამოთქვა მწუხარება 23 თებერვალს მოსკოვში, ბასმანის ბაზარში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით და მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახებს. **24 საათი**

### ცესკო-ს ახალი მდივანი

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი მდივანი ჰყავს.

ცესკო-ს დღევანდელ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით კომისიის მდივნად არჩეულია ცესკო-ს წევრი გიზო მჭედლიძე.

გიზო მჭედლიძე დაბადებულია 1960 წელს. დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტი. 1991 წელს იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, 1995-1998 წლებში კი - საქართველოს პარლამენტის წევრი.

გიზო მჭედლიძე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2005 წლიდან მუშაობს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაინიშნა გურამ ჩალაგაშვილი ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობას ორშაბათიდან შეუდგა. **ინტერპრესნიუსი**

### რესპუბლიკელთა ჭიათურული "ახალი სისხლი"

ჭიათურაში "რესპუბლიკური პარტიის" რაიონული ორგანიზაციის ახალი ოფისი გაიხსნა. ოფისის გახსნასთან დაკავშირებით, ჭიათურაში პარტიის ლიდერები დავით უსუფაშვილი, ლევან ბერძენიშვილი და თინათინ ხიდაშელი ჩავიდნენ.

"ჭიათურაში ჩვენი ორგანიზაცია 1989 წელს დაარსდა და საკმაოდ აქტიურად მუშაობს. ეს მხოლოდ პარტიისთვის ახალი სისხლის გადასხმის პროცესია", - განუცხადა "ინტერპესნიუსს" ლევან ბერძენიშვილმა.

პრეზენტაციის შემდეგ, "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერები მოსახლეობას შეხვდნენ და მათი პრობლემები მოისმინეს. **ინტერპრესნიუსი**

### აზერბაიჯანული მედიის საჩივარი მიხეილ სააკაშვილს

აზერბაიჯანის პრესის საბჭომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელზე წერილი მოამზადა, - ამის შესახებ ადგილობრივი მედია საბჭოს თავმჯდომარეზე, აფლატუნ ამაშოვზე დაყრდნობით იტყობინება. ამაშოვის თქმით, მიმართვის მომზადების მიზეზი რამდენიმე დღის წინ საქართველოში აზერბაიჯანელი მოსახლეობის პიკეტის დროს ტელეარხების - ANS-ს და "Lider"-ის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ძალადობა გახდა. ამასთანავე, ნური ოსმანოვსა და ქიაფიაევას ვიდეოკამერები და კასეტები წაართვეს. მომხდართან დაკავშირებით, აზერბაიჯანის პრესის საბჭო საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს და ქვეყანაში აზერბაიჯანის საელჩოს დაუკავშირდა. საქართველოს პრეზიდენტს საბჭო შესაბამისი ზომების მიღებას სთხოვს აღნიშნული ინციდენტის გამოსაძიებლად, ვიდეოაპარატურისა და კასეტების დასაბრუნებლად და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობაში მონაწილე პირების დასასჯელად. **პრაიმნიუსი**

### საკრებულო მოითხოვს

დედაქალაქის საკრებულომ მთავრობას თბილისის ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის შეღავათების შენარჩუნება მოსთხოვა. თბილისის საკრებულოს სხდომაზე საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის მუდმივმოქმედმა კომისიამ კენჭისყრაზე დააყენა დედაქალაქში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი 18 კატეგორიის მოქალაქეთათვის ბუნებრივი აირის საფასურის შეღავათების აღდგენის საკითხი.

გადაწყდა, აღნიშნული საკითხის განხილვა დედაქალაქის მთავრობას დაევალოს.

ცნობისთვის, თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 18 კატეგორიის მოქალაქეებს ორი თვის წინ "თბილგაზის" გაკოტრების პროცედურასთან დაკავშირებით შეუჩერდათ არსებული შეღავათები. სწორედ ამ შეღავათების აღდგენას მოითხოვს დედაქალაქის საკრებულო. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# საქართველო ეუთო-ს სამშვიდობო მისიის ინტერნაციონალიზებას სთხოვს

პირველი გვერდიდან


ინტერპრესნიუსი

არავის მოსწონს ის ურთიერთობები, რაც ახლა საქართველოსა და რუსეთს შორისაა.

როგორც ცნობილია, რუსეთმა უარი განაცხადა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ვენაში გამართვაზე, რაც სწორედ კარელ დე გუხტის ინიციატივას წარმოადგენდა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ეუთოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აქტიურად ადევნებენ თვალს ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. **"ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებისთვის არა მხოლოდ სამშვიდობო გეგმის წარდგენა, არამედ დღევანდელი რეალური ვითარების ჩვენებაც. ვისაუბრეთ კონკრეტულ ნაბიჯებზე, პრობლემებზე. ვფიქრობ, ჩვენი არგუმენტები, თუ რატომ გვაქვს პრეტენზიები რუსეთის სამშვიდობო ძალებთან მიმართებაში, საკმაოდ დასაბუთებული და მისაღები იყო ბევრი ჩვენი კოლეგისათვის. მათ კარგად ესმით, რომ ეუთო-ს გააქტიურება ძალიან მნიშვნელოვანია. მათთვის სერიოზული შეტყობინებაა რუსეთის მიერ ვენაში შერეული საკონტროლო კომისიის ჩატარებაზე უარის თქმა, განცხადებები სამშვიდობო გეგმის თითქოსდა არარსებობასთან დაკავშირებით. ჩვენი თხოვნით, რუსეთის დელეგაცია შეხვედრაზე სრული შემადგენლობით მოვიდა. დელეგაციის წევრების ერთადერთი "არგუმენტი" იყო წყენა საქართველოს მიერ რუსეთის აუგად მოხსენიების გამო. სასიამოვნოა, რომ რუსულმა მხარემ კონსულტაციების გაგრძელების სურვილი გამოხატა. თავად ქალბატონმა სლისკამაც ბრძანა, რომ არ მოსწონს ის ურთიერთობები, რაც ახლა საქართველოსა და რუსეთს შორისაა და მზადაა, მათ მოგვარებაში მონაწილეობა თავადაც მიიღოს. რუსეთის დელეგაცისთან შეხვედრაზე გამოითქვა ჩვენთვის ძალზე სერიოზული და კონსტრუქციული წინადადება: რუსულმა მხარემ შემოგვთავაზა, ორი კვირის განმავლობაში ქართულმა მხარემ აირჩიოს სამი კონკრეტული მიმართულება, რომელიც ჩვენთვის ყველაზე პრობლემურია. რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ ისინი მზად არიან, პირველ ეტაპზე ამ სამი მიმართულებით მიაღწიონ კომპრომისულ შედეგს. ცხადია, ჩვენ ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადებისთვის მზად ვართ, თუ ასეთი მიდგომა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით იქნება დადასტურებული,"** - აცხადებს ბურჯანაძე

საქართველოს დელეგაციამ დაარიგა სამშვიდობო მანდატის დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების პაკეტი, რათა ქართული მხარის სიტყვები მხოლოდ ზოგადი რიტორიკა არ ყოფილიყო. **"მე მივმართე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თანამეგობრობას, რომელსაც დიდი როლი ეკისრება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიც არის სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნა სხვა ქვეყნებში, და ვთხოვე, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციისთვის მხარი დაეჭირა. ჩვენ ძალიან სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს. მქონდა შეხვედრა ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ავსტრია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა და ამ საკითხში ძალიან სერიოზული წვლილის შეტანას აპირებს. ორიოდე დღის წინათ ევროკავშირმა უპრეცედენტო განცხადება მიიღო, რომელშიც აღნიშნა, რომ საქართველოს პარალმენტის დადგენილებას მხარს უჭერს,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# ლუსტრაცია - აქტუალური და უპერსპექტივო

## ლუსტრაციის კანონპროექტი ოპოზიციამ "უპატრონოდ მიაგდო"

*პარლამენტში გრძელდება ოპოზიციის მიერ ინიცირებული კანონპროექტის - "ყოფილი სსრკ-ს სპეცსამსახურების საიდუმლო აგენტების რეგისტრაციის შესახებ" - განხილვა. ლუსტრაციის კანონპროექტზე გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში იმსჯელეს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აღნიშნულ დოკუმენტს უარყოფითად ახასიათებენ. "იურიდიულად გაუმართავია", "ძალიან ზოგადია და ზერელედ არის შედგენილი", "მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს და სამართლებრივი ღირებულება არ გააჩნია" - გუშინდელ საკანონმდებლო მოსმენაზე ასეთი შეფასებები ჭარბობდა.*

გიორგი ასანიშვილი

იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციის საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობის სხდომაზე დაიწუნეს, სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა ასეთი განწყობა სულაც არ არის გასაკვირი. როგორც ჩანს, ოპოზიციაც ხვდება, რომ ლუსტრაციის კანონის მიღების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ამიტომ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში "დემოკრატიული ფრონტის" არც ერთი წევრი არ გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, მოხდა უპრეცედენტო რამ - საკითხი მისი ინიციატორის დასწრების გარეშე იქნა განხილული.

ასეთ სიტუაციაში საკომიტეტო მოსმენა ცალ კარში თამაშს დაემსგავსა: უმრავლესობის წევრები დოკუმენტს ისე აფასებდნენ და გამოჰქონდათ დასკვნები, რომ შემპასუხებელი არავინ ჰყავდათ.

როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ოპონენტები "შორს იყვნენ", კომიტეტის ზოგიერთი წევრი "დაუკრეფავში" გადავიდა. ისინი შეეცადნენ, "კაგებეს" აგენტობისთვის გამართლება იმით მოეძებნათ, რომ, თურმე, "ამ გზაზე დადგომა ზეწოლითა და მუქარით ხდებოდა".

გაისმა სხვა "დამაჯერებელი" არგუმენტებიც. **"საბჭოთა პერიოდში ნიჭიერი ახალგაზრდები ვერაფერს მიაღწევდნენ, თუ პარტიული და კომკავშირული სკოლა არ ექნებოდათ გავლილი,"** - აცხადებდნენ დეპუტატები. ნათქვამის საილუსტრაციოდ, მათ ისიც გაიხსენეს, რომ საქართველოს ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, თავის დროზე, კომკავშირის ცეკას და პარტიის ქალაქკომის მდივანი იყო.

კოლეგებს "აღიარებითი ჩვენება" თავად კომიტეტის თავმჯდომარემაც მისცა. **"პარტიასა და კომკავშირში შეგნებულად შევედი, მაგრამ ქალაქკომის მდივნის პოსტზე რვა თვეც კი ვერ გავძელი, რადგან შიგნით უამრავი სიბინძურე დავინახე,"** - საბჭოური პერიოდის ცოდვები გულწრფელად აღიარა ელენე თევდორაძემ.

მისგან განსხვავებით, დეპუტატი ვან ბაიბურთი ამის გაკეთებას არ ჩქარობს. კომიტეტის სხდომაზე ნაზი არონიამ მას აუხსნა, რომ აგენტების ჩამონათვალში ისიც (ვან ბაიბურთი) ხვდება. თავის მხრივ, თევდორაძემაც დაადასტურა, რომ ვან ბაიბურთის აგენტობაზე ლაპარაკი ადრეც ყოფილა.

და მაინც, მოსკოვის ახალი ამბების სააგენტოს ყოფილი კორესპონდენტი საქართველოში ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს საკმაოდ მხიარულობდა. სხდომაზე იგი "ინიციატივითაც" კი გამოვიდა. **"ვინც აგენტობას აღიარებს, 50 ათასი ლარი გადავუხადოთ და საკუთარ წარსულს აღარავინ დამალავს,"** - "გაშიფვრის" სანაცვლოდ მატერიალური ხეირის ნახვა მისაღებად მიაჩნია ბაიბურთს.

სხვათა შორის, ლუსტრაციაზე "მოთხოვნილება" რომ უკვე დიდი ხანია არსებობს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც ადასტურებენ. **"სამჯერ იყო მცდელობა, მათ შორის, ბარამიძის მიერაც, რომ ეს კანონი მიგვეღო, მაგრამ წინა ხელისუფლების მიერ ის სამჯერვე დაიბლოკა,"** - სინანულით შენიშნავს ელენე თევდორაძე, თუმცა, იმას აღარ ამატებს, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც თავისი წინამორბედის მსგავსად იქცევა.

**"წლების განმავლობაში მოხდა ბუნებრივი წმენდა და საკადრო ჩანაცვლებები უკვე განხორციელდა,"** - მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი მათ დამშვიდებას ცდილობს, ვისაც საბჭოთა აგენტურისადმი შიში ჯერ კიდევ არ განელებია.

ანტილუსტრაციული განწყობის აპოთეოზად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ექსპერტის ნინო რატიშვილის შეფასება იქცა. იმის პასუხად, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ლუსტრაციის კანონი მიიღეს, ექსპერტი აცხადებს, რომ "ამ ქვეყნების კანონმდებლობა ლიბერალობით არ გამოირჩევა".

თუმცა, როგორც ირკვევა, ლუსტრაციის კანონს "ფარული თაყვანისმცემლები" უმრავლესობის შიგნით მაინც ჰყავს.

**"საიდუმლო აგენტების გვარები მაინც გამოვაქვეყნოთ,"** - მორიდებით ითხოვს დეპუტატი იგორ პატარიძე.

**"როგორ, არ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი?"** - უფრო ხმამაღლა გამოთქვამს პროტესტს პარლამენტარი მერაბ ბოცვაძე...

ერთეული დეპუტატების (თუნდაც ისინი სახელისუფლებო ფრაქციას წარმოადგენდნენ) აზრი ბევრს არაფერს წყვეტს. დაუწერელი დირექტივა მაინც შესრულდება - ოპოზიციის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღებას მმართველი გუნდი არ დაუშვებს.

# შუამდინარული გამბიტი

პირველი გვერდიდან

შარშან ერაყის დროებითი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას სამი თვე დასჭირდა. ამჯერად უკვე ორი თვეა, მიმდინარეობს "ვაჭრობა" ქვეყნის სხვადასხვა ძალებს შორის, თუმცა, ჯერჯერობით ყველასათვის მისაღები რაიმე კომპრომისის, რომელიც ხელისუფლების დამყარებას მოიტანდა, ნიშანწყალიც კი არ ჩანს. პირიქით, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა უახლოეს მომავალში ვითარების განმუხტვის ილუზიაც კი გაფანტა.

**"ერაყის წინაშე მდგარი არჩევანი ძალზედ მარტივია,** - წერდა გუშინ ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფი", - **ან შეიქმნება ეროვნული მთავრობა და ამგვარად დადასტურდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მომავალი, ან მოხდება ერაყის დეზინტეგრაცია."**

ქვეყნის გახლეჩა კი აუცილებლად გაზრდის ძალადობის ისედაც არცთუ მცირე ფაქტებს და ნამდვილ სამოქალაქო ომში გადაიზრდება.

ერაყის პოლიტიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე, საეჭვოა, თეთრი სახლის პოზიციის ცვლილება. გასული წლის ბოლოს გამოქვეყნებული "ერაყში გამარჯვების ეროვნული სტრატეგიის" თანახმად, აშშ მანამდე გააგრძელებს ტერორიზმთან ბრძოლასა და უზრუნველყოფს ერაყის ეროვნული უსაფრთხოების კონტინგენტის სათანადო დონეზე მომზადებას, ვიდრე ეს უკანასკნელი უსაფრთხოების დაცვას დამოუკიდებლად არ შეძლებს.

თუმცა, ცხადია, ბუშის ადმინისტრაცია არ დაიწყებს "წესრიგის დამყარებას" იქ, სადაც ამერიკელ ჯარისკაცთა გამოჩენას ესკალაციის გამოწვევა შეუძლია.

მართალია, პენტაგონმაც დაუშვა შეცდომები ერაყული კამპანიის დროს, მაგრამ მთავარი როლი მაინც ერაყის სათავეში მოსულმა (ეროვნული შეთანხმების შედეგად) ახალმა ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს.

აშშ-ს ელჩმა ერაყში ახლახან განაცხადა, რომ თუ ერაყი რელიგიურ-ეთნიკური პრინციპით დანაწევრდება, კოალიციის ჯარები უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვეღარ შეძლებენ. მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგებს საკუთარ თავზე იწვნევს როგორც ერაყელი ხალხი, ასევე მისი წარმომადგენელი ხელისუფლება.

და მაინც, ჯერჯერობით ბუნდოვანი რჩება, ვის ინტერესებს წაადგება ერაყში ძლივს ჩამცხრალი რელიგიური დაპირისპირების ხელახალი, კიდევ უფრო სასტიკი ძალით გაღვივება. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ სამარაში შიიტთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე - ალ-ასკარის "ოქროს მეჩეთი" ააფეთქეს.

სალოცავის აფეთქება დაგმო და "ბოროტი საქციელი" უწოდა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. ბუშის თქმით, შეერთებული შტატების შიიტური სალოცავის აღდგენისთვის ყველაფერს გააკეთებს. **"ერაყში არსებულ საღად მოაზროვნე ყველა ჯგუფს ესმის, რომ ეს აფეთქება სამოქალაქო კონფლიქტის გაღვივებას ისახავდა მიზნად; რომ ეს ბოროტი საქციელი იყო; და რომ წმინდა სალოცავის დანგრევა პოლიტიკური ქმედებაა, რომელიც მიზნად კონფლიქტს ისახავს. მე მოხარული ვარ, რომ საღი მოსაზრებები ისმის,"** - აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტი. თუმცა, ეს მხოლოდ აშშ-ს პოზიციაა.

სხვაგვარად ფიქრობს ერაყის მეზობლად მდებარე უდიდესი შიიტური სახელმწიფოს ხელმძღვანელობა. ბუშის განცხადების მიუხედავად, ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა სალოცავის აფეთქებაში თავად შეერთებული შტატები და ისრაელი დაადანაშაულა. ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ერაყელებს მოუწოდა, არ დაეშვათ კონფესიურ ნიადაგზე შეტაკებები, პირიქით, რადიკალი ირანელი ლიდერის თქმით, ყველა მუსლიმი საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს.

სხვათა შორის, ერაყში მოქმედმა ერთ-ერთმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ სალოცავის აფეთქებაში სწორედ ირანს და ერაყის შიიტურ მთავრობას დასდო ბრალი.

ამავე საბაბით, ერაყის მთავარმა სუნიტურმა ბლოკმა ახალი მთავრობის შექმნის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებაში მონაწილეობა შეწყვიტა. ბლოკი აცხადებს, რომ შიიტური სალოცავის დაზიანების შემდეგ შიიტები ქვეყანაში ძალადობას აღვივებენ.

ასე რომ, ვინ ააფეთქა ქალაქ სამარაში მდებარე შიიტური სალოცავი, ძალიან ძნელი გასარკვევი ხდება. ერთი ფაქტია, ალ-ასკარას აფეთქებამ "შეურაცხყოფილი" მუსლიმური სამყაროს ერთიანობის იდეა, რომელიც ერთად უნდა აღუდგეს დასავლეთს (თუნდაც წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნების გამო), სერიოზული კითხვის ქვეშ დააყენა.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

8-10

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მილოშევიჩს რუსეთში არ გაუშვებენ

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა სერბეთის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს რუსეთში სამკურნალოდ გამგზავრების მიზნით დროებით გათავისუფლებაზე უარი განუცხადა.

მილოშევიჩი, რომელსაც გული აწუხებს, მოსკოვის ბაკულევის სახელობის სამედიცინო ცენტრში გამოსაკვლევად და სამკურნალოდ გაშვებას ითხოვდა, რუსეთმა ჰააგის ტრიბუნალს მილოშევიჩის უსაფრთხოების და ნიდერლანდებში მისი დროული დაბრუნების გარანტია მისცა.

თუმცა, ტრიბუნალის მოსამართლეებმა სერბეთის ექსპრეზიდენტის რუსეთში გაშვებაზე უარი თქვეს. როგორც სააგენტო "როიტერსი" აღნიშნავს, მოსამართლეები ეჭვობენ, რომ მილოშევიჩის ცოლი და ვაჟი მოსკოვში ცხოვრობენ და მათთან შეხვედრის შემდეგ სერბეთის ყოფილი ლიდერი, იმ საბაბით, რომ ექიმები "ურჩევენ", ჰააგაში დაბრუნებაზე უარს იტყვის.

მოსამართლეთა გადაწყვეტილების ტექსტში ნათქვამია, რომ მილოშევიჩის სასამართლო პროცესი, რომელიც უკვე მეხუთე წელია გრძელდება, ამჟამად უკვე დამამთავრებელ ფაზაშია, მძიმე დანაშაულებში ბრალდებულ მილოშევიჩს, შესაძლოა, მკაცრი სასჯელი მიესაჯოს. აქედან გამომდინარე, რუსეთის გარანტიებისა და თავად მილოშევიჩის განცხადების მიუხედავად, ტრიბუნალის სასამართლო პალატა დარწმუნებული არ არის, რომ ბრალდებული დროებითი გათავისუფლების შემდეგ ჰააგაში დაბრუნდება.

მოსამართლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ არც მილოშევიჩისთვის დანიშნული ადვოკატების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებაში და არც ექიმების დასკვნებში არ არის მტკიცებულებები იმისა, რომ ექსპრეზიდენტი ნიდერლანდების ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურებას საჭიროებს.

სერბეთის ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა "უსამართლო" უწოდა ყოფილი იუგოსლავიისთვის საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლეთა გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, მილოშევიჩს 90-იან წლებში ბოსნია-ჰერცოგოვინის და კოსოვოს შეიარაღებული კონფლიქტების დროს ომის წესებისა და კანონების დარღვევაში, გენოციდსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ედება ბრალი. თუ საერთაშორისო ტრიბუნალი მილოშევიჩს დამნაშავედ ცნობს, მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

*24 საათი*

# ტრაგედიის მსხვერპლთა რიცხვი იზრდება

მოსკოვში ბასმანის ბაზრის ტერიტორიაზე სამაშველო-საძიებო სამუშაოები დასრულდა. უბედური შემთხვევის დროს დაღუპულთა საერთო რიცხვმა 57 შეადგინა. მათ შორის ერთი ბავშვია. დაღუპულთაგან 50 ადამიანის ცხედარი უკვე ამოცნობილია. სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება 30-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. 23 დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ნანგრევებში ცოცხალთაგან აღარავინ არის დარჩენილი. მძიმე ტექნიკა ტერიტორიის ნანგრევებისგან გაწმენდას განაგრძობს. წინასწარი ინფორმაციით, შენობის ნანგრევებში "ჟიგულის" მარკის ავტომობილია მოყოლილი, რომლის სალონშიც, შესაძლოა, ორი დაღუპულის გვამი იყოს.

მოსკოვის სოციალური და საქალაქო დეპარტამენტის განცხადებით, ფულად დახმარებას 50 000 რუბლის სახით შემთხვევის ადგილზე დაშავებული ყველა პირი მიიღებს. 100 ათასი რუბლის კომპენსაციასა და დაკრძალვისთვის საჭირო თანხას კი დაღუპულთა ახლობლებს გადასცემენ.

*მედიანიუსი*

# საგანგებო მდგომარეობა ფილიპინებზე

ფილიპინებზე, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა გლორია აროიომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. დედაქალაქ მანილაში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული. პრეზიდენტმა არმია და პოლიცია საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა.

გუშინ ფილიპინების უშიშროების ძალებმა სამხედრო გადატრიალების მცდელობა აღკვეთეს. არმიის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ გერმოგენ ესპერონის თქმით, დაპატიმრებულია შეთქმულების ორი ორგანიზატორი - არმიის გენერალი და საზღვაო ქვეითთა მალალჩინოსანი ოფიცერი.

24 თებერვალს ისინი, მათ მხარეს გადასული სამხედროების დახმარებით, დიქტატორ ფერდინანდ მარკოსის დამხობის მე-20-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მანიფესტაციის დროს, უწესრიგობის მოწყობას აპირებენ. ამგვარად ოპოზიცია პრეზიდენტს გლორია აროიოს დამხობას გეგმავდა, რომელსაც საარჩევნო მაქინაციებსა და კორუფციაში ადანაშაულებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# თეირანი იმუქრება

აშშ-ს თავდასხმის შემთხვევაში ირანი ისრაელის დიმონის ბირთვულ ცენტრს მიაყენებს დარტყმას. ამის შესახებ, როგორც გაზეთი "ჰაარეცი" იუწყება, ირანის რევოლუციური გვარდიის ხელმძღვანელობის მრჩეველმა განაცხადა.

მისი თქმით, ირანი ასევე იერიშს მიიტანს ისრაელის "ზაკარიას" სარაკეტო ბაზაზე და ჰაიფაზე, სადაც ბევრი ქიმიური ქარხანა და ნავთობგადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს.

იანვრის ბოლოს, ირანის პარლამენტის ეროვნული უშიშროების და საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილემ მოჰამედ ნაბი რუდაქიმ განაცხადა, რომ ირანს შეუძლია, ინდოეთის ოკეანესთან სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი ორმუზის სრუტიდან ნავთობის მიწოდება შეწყვიტოს. მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის 25 პროცენტის ექსპორტი სწორედ ამ სრუტის გავლით ხორციელდება.

აშშ-ს ადმინისტრაცია ირანის წინააღმდეგ საომარ ოპერაციას უკიდურეს ზომას უწოდებს, თუმცა დარტყმის მიყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

*24 საათი*

მოკლედ

## რუსი თურქეთში ვერ გაიპარა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით, ქართველმა მესაზღვრეებმა რუსეთის მოქალაქე დააკავეს. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ცნობით, დაკავების ოპერაცია რეგიონული სამმართველო "აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" განხორციელდა. სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მას პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. რუსეთის მოქალაქე საქართველოდან თურქეთში გასვლას კანონდარღვევით ცდილობდა. დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის რეგიონული სამმართველო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

## მკურნალობის თანხა პრობაციონერისთვის

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის შიდა ქართლის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი პრობაციონერი ბონდო გიგაური ავტოკატასტროფაში მოყვა. ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა მძიმეა. პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, გორის გამგეობამ ავადმყოფს სისხლის გადასხმისა და მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა უკვე გადაურიცხა.

წინასწარი მონაცემებით, თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის გორის რაიონის სოფელ სვენეთის მონაკვეთზე ფეხით მოსიარულე ბონდო გიგაურს ავტომანქანა დაეჯახა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დაზარალებული უმძიმეს მდგომარეობაში მიატოვა. ამჟამად, პაციენტი გორის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში შოკურ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც შიდა ქართლის პრობაციის ბიუროში განმარტავენ, გიგაურის ოჯახს მკურნალობის საშუალება არ გააჩნდა, რის გამოც ბიურომ თხოვნით მიმართა რაიონის გამგეობას დახმარება გაეწიათ ავადმყოფისათვის. გამგეობის წარმომადგენლებმა პრობაციონერისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევისა და მედიკამენტებისათვის საავადმყოფოში 500 ლარი გადარიცხეს. **24 საათი**

## წერილი პრეზიდენტს

აზერბაიჯანის პრესის საბჭომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე წერილი მოამზადა. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ აფლატუნ ამაშოვმა განაცხადა, წერილი აზერბაიჯანული სატელევიზიო არხების, ANS და Лидер -ის თანამშრომლთა მიმართ გამოყენებულ ძალადობას ეხმაურება.

შეგახსენებთ, რომ მარნეულის რაიონში მიწების პრობლემის გამო მოწყობილი პიკეტი ქართველმა სამართალდამცველებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს, ნური ოსმანოვსა და ალმაზ კალიაევის ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და კამერები გადაღებული მასალებითურთ წაართვეს. ინციდენტთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის პრესის საბჭო საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებსა და აზერბაიჯანის საელჩოს საქართველოში დაუკავშირდა. საქართველოს პრეზიდენტისადმი მომზადებულ მიმართვაში საბჭოს წევრები მოითხოვენ მომხდარის გამოძიებას, კასეტების დაბრუნებასა და დამნაშავე პირთა დასჯას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლიკვიდაცია წინააღმდეგობის გაწევის გამო

იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი სამი პირის ლიკვიდაცია განახორციელეს. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ლევან კახიანის განცხადებით, ბოროტმოქმედებმა სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. სამივე ეჭვმიტანილი ადგილზევე დაიღუპა. შემთხვევის ადგილზე ორი ავტომატი, ერთი გადაჭრილი თოფი და ნიღბები აღმოჩინეს. ყაჩაღობაში ეჭვმიტანილთა ცხედრები ქუთაისის ცენტრალურ პროზექტურაში უკვე გადაასვენეს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი თავდამსხმელი - ზურაბ ბაბუხადიაა ამოცნობილი. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დაუსჯელი ტრეფიკერები

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი 4 პირის დაკავებას მოითხოვენ. არასამთავრობო ორგანიზაცია "შალვა რჩეულიშვილის სახელობის დამოუკიდებელ ადვოკატთა კოლეგიის" ვიცე-პრეზიდენტმა გოჩა დარჩიამ ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენცია გამართა. დარჩიას განცხადებით, მის ორგანიზაციას სამართლებლივი დახმარებისთვის სომხეთის მოქალაქის, 16 წლის ელეონორა პეტროსიანის ოჯახის წევრებმა მიმართეს. როგორც გოჩა დარჩია განმარტავს, 2005 წლის სექტემბერში ახალქალაქის სოფელ იხტვაში მცხოვრები ხაჩატურიანების ოჯახის წევრებმა და მათმა ერთ-ერთმა მეზობელმა ელეონორა პეტროსიანი ბებიის სახლიდან გაიტაცეს, იგი სამი თვის განმავლობაში ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ ჰყავდათ და მასზე სხვადასხვა სახის ძალადობა ხორციელდებოდა.

**"არასრულწლოვანი 2005 წლის დეკემბერში ხაჩატურიანების მიერ წაყენებული ულტიმატუმების შესრულების პირობით გაათავისუფლეს. ერთ-ერთი პირობის თანახმად, დანაშაული არ უნდა გახმაურებულიყო და ამის გამო არავინ უნდა დაესაჯათ. ამ დროისთვის ელეონორა პეტროსიანი სომხეთში, საკუთარ ოჯახში იმყოფება. მიმართვის მიუხედავად, ქართველი სამართალდამცველი სტრუქტურების მხრიდან დანაშაულს მსვლელობა არ მისცემია და დამნაშავეები არ დაუკავებიათ"**, -განაცხადა დარჩიამ. მისივე თქმით, ტრეფიკინგის ფაქტზე რეაგირება არ მომხდარა, რადგან, არაოფიციალური ინფორმაციით, ხაჩატურიანები ნარკორეალიზაციით არიან დაკავებული და მათ საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავდეთ. არასამთავრობო ორგანიზაცია გენერალურ პროკურატურას დანაშაულზე დაუყოვნებლივ რეაგირებას სთხოვს. **ინტერპრესნიუსი**

## მოხუცი პრობაციონერი დაბინავებულია

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის ბიუროს შუამდგომლობით, უსახლკაროდ დარჩენილი ხანდაზმული მსჯავრდებული მოხუცთა და გაჭირვებულთა სახლში გარემონტებულ ბინაში შეასახლეს.

ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროში გამოცხადდა 70 წლის პირობითი მსჯავრდებული ჯემალ ბიწაძე, რომელსაც რუსთავის საქალაქო სასამართლომ ერთწლიანი პირობითი სასჯელი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მიუსაჯა. პრობაციონერის განმარტებით, მას არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლი და ღამის გათევა რუსთავის რკინიგზის სადგურში უწევდა. ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს წარმომადგენლებმა და საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მიზნით, თხოვნით მიმართეს რუსთავის მოხუცთა და გაჭირვებულთა სახლის "ქსენონის" დირექციას და თანხმობაც მიიღეს. საცხოვრებელი ფართის გარემონტების სახსრები კი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ გაიღო. ჯემალ ბიწაძე მოხუცებულთა თავშესაფარში უზრუნველყოფილი იქნება სამჯერადი კვებითა და უფასო სამედიცინო მომსახურეობით. თავის მხრივ, პრობაციონერი "ქსენონის" პერსონალს მიწის ნაკვეთის დამუშავებასა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობაში დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

## ჯარიმა და პატიმრობა ტოტალიზატორების დარღვევით მუშაობისთვის

იმერეთის პოლიციის თანამშრომლებმა რეგიონში მოქმედი რამდენიმე ტოტალიზატორის დირექტორები დააპატიმრეს. დაპატიმრებულები არიან ქუთაისში, ტოტალიზატორების "ინტერბეთი" და "ევრობეთის" დირექტორები ზაზა მეგრელიშვილი და დავით მაღლაფერიძე, ხოლო სამტრედიაში "ინტერნაციონალის" ხელმძღვანელი მალხაზ გრიგოლია. ეჭვმიტანილებს ყალბი საანგარიშო დოკუმენტების შედგენა და საბუღალტრო წესების დარღვევა ედებათ ბრალად. იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსის ლევან კიკნაველიძის განცხადებით, სამივე ტოტალიზატორს ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმა 50 ათას ლარამდე დაეკისრებათ. დაკავებულებს თავისუფლების აღკვეთა 3-დან 20 წლამდე ემუქრებათ. **ინტერპრესნიუსი**

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

# სახალხო დამცველი გურამ დონაძის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

პარალელურად, სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს ოფიციალურად მოსთხოვა გურამ დონაძის თანამდებობიდან გათავისუფლება. თუმცა, ამ მოთხოვნას საფუძვლად ის გავრცელებული ხმები არ უდევს, რომელთა თანახმადაც, უთანხმოება "შარდენ-ბარში" სწორედ გურამ დონაძის გამო მოხდა.

**"გურამ დონაძე მუქარის ენით ესაუბრება მედიისა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს. უკანასკნელ ხანს, ქართულ მედიაში არაერთი შემთხვევა მოხდა, როდესაც მას ჟურნალისტების შეურაცხყოფასა და ინფორმაციის გაუცემლობაში ადანაშაულებდნენ. თუმცა, დონაძის სამსახურეობრივი გავლენის შიშით, ბევრი ჟურნალისტი ამის ხმამაღლა გაცხადებას ვერ ბედავდა,"** - წერია განცხადებაში. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ დონაძის საწინააღმდეგო ბოლო ფაქტი 28 წლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობას უკავშირდება. კერძოდ, გირგვლიანის ცხედრის აღმოჩენისთანავე დონაძე აცხადებდა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ე.წ. სვანურ დაჯგუფებებს შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირდებოდა.

**"ძიების საწყის ეტაპზე, მაშინ, როცა არ არსებობდა არანაირი დამადასტურებელი საბუთი, ან თუნდაც ვარაუდის გამოთქმის საფუძველი, ამგვარი განცხადების გაკეთება პირდაპირ შეიძლება ჩაითვალოს ძიების არასწორ კვალზე დაყენებისა და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მცდელობად,"**- ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამგვარი ქმედებები - მუქარა, ადამიანების შეურაცხყოფა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, კონკრეტული ადამიანებისა თუ მთელი კუთხეების მიმართ ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება - შეუფერებელია შსს-ს ადმინისტრაციის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსისთვის, ეწინააღმდეგება საჯარო მოხელის ქცევის ეთიკურ ნორმებსა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ელემენტარულ პრინციპებს.



არასამთავრობოთა საპროტესტო გამოსვლა კანცელარიასთან.

რაც შეეხება უშუალოდ მკვლელობის გამოძიებას, ომბუდსმენი ეთანხმება გირგვლიანის ახლობლების მოთხოვნას მკვლელობასთან დაკავშირებული საქმის გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნის შესახებ. სახალხო დამცველის განცხადებაში ნათქვამია, რომ, რადგან სანდრო გირგვლიანის ოჯახისა და მეგობრების ვარაუდით, ამ მკვლელობაში შსს-ს მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ და, ამდენად, ისინი უნდობლობას უცხადებენ ამ უწყების მიერ ჩატარებულ გამოძიებას, მიზანშეწონილია აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აწარმოოს.

*24 საათი*

# "მოსამართლეთა საქმე"

*"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე გორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის ბონდო ვათიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას კატეგორიულად მოითხოვს.*

**"მივმართავ იუსტიციის საბჭოს, რომ ბონდო ვათიაშვილს შეუწყვიტოს უფლებამოსილება, ვინაიდან იგი კრიმინალია და მის მიერ ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია,"** - განაცხადა სპეციალურად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თეა თუთბერიძემ, რომლის განცხადებითაც, ბონდო ვათიაშვილმა კანონი კიდევ ერთხელ დაარღვია უხეშად.

საქმე ისაა, რომ გორის რაიონული სასამართლოდან გათავისუფლებულმა მოსამართლემ გიორგი მიროტაძემ, რომელსაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უფლებამოსილება შეუწყვეტა, რაც პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულებითაც დაადასტურა, საქმიანობა მაინც განაგრძო და ოთხ ადამიანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც შეუფარდა. ამასთან დაკავშირებით, "თავისუფლების ინსტიტუტმა" სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და გენერალურ პროკურატურას უკანონო პატიმრობაში მყოფი პირების დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვა.

თეა თუთბერიძის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციას პროკურატურის ოპერატიული რეაგირება მოყვა - გენერალურმა პროკურატურამ უკანონო პატიმრობაში მყოფი ოთხივე ადამიანი სასწრაფო წესით გაათავისუფლა.

გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ბონდო ვათიაშვილმა კი, რომელმაც პატიმრების გათავისუფლების შესახებ არაფერი იცოდა, მიროტაძის უკანონო გადაწყვეტილების გასწორება მოინდომა და კანონი კიდევ ერთხელ დაარღვია - ოთხიდან ერთ პატიმარს წინასწარი პატიმრობა განმეორებით, ამჯერად, თავად შეუფარდა.

თეა თუთბერიძე აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებით ვათიაშვილმა კიდევ ერთი უკანონობა ჩაიდინა, რადგან დაკავებიდან 72 საათი უკვე გასული იყო და დაკავებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება კანონით აღარ შეიძლებოდა. თეა თუთბერიძისვე თქმით, ვათიაშვილმა სასამართლო პროცესი მათ მიერ ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ დაუყოვნებლივ დანიშნა, ერთს შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება, დანარჩენი სამის პროცესი კი, რადგან დროში ვერ ეტეოდა, მომდევნო დილით ჩანიშნა, მაგრამ მათთვის პატიმრობის შეფარდება ვეღარ მოასწრო. **"მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გენერალური პროკურატურისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილება, დილისთვის დანიშნული პროცესები აღარ ჩაუტარებია. მეტიც, წინა საღამოს გამოტანილი გადაწყვეტილება, ბრალდებულისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, რაც საჯაროდ გამოაცხადა სასამართლო სხდომაზე, დილით შეცვალა და ბრალდებულს 10 ათასი ლარის გირაოს გადახდა დააკისრა. გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით, ოთხივე უკანონო პატიმარი გათავისუფლებულია, ვათიაშვილის უკანონო გადაწყვეტილება კი მხოლოდ ფარატინა ქაღალდია,"** - აცხადებს თეა თუთბერიძე, რომელმაც უკვე მიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებს და გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბონდო ვათიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. გარდა ამისა, თეა თუთბერიძე გენერალურ პროკურატურას საქმის აღძვრასა და სასამართლოს თავმჯდომარის პასუხისგებაში მიცემას თხოვს.

*24 საათი*

# დაბნეული გამოძიება

*რამდენიმე დღის წინათ სიღნაღის პოლიციაში გამოცხადდა სოფელ საქობოს მკვიდრი მირიან მირიანაშვილი 2003 წელს ჩადენილი ალა სესიტაშვილის მკვლელობის აღიარებით. არადა, ამ მკვლელობის გამო, უკვე იხდის სასჯელს წნორელი ივანე დევიძე. მიუხედავად იმისა, რომ დევიძე სასამართლოს განაჩენის გამოტანის ბოლო წუთამდე ამბობდა, რომ სესიტაშვილი მას არ მოუკლავს, სიღნაღის რაიონის მოსამართლემ სოსო ბეგიაშვილმა მას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, მოსამართლე ბეგიაშვილს თავისივე გამოტანილი განაჩენი უკვე აღარ ახსოვს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

21 წლის მირიან მირიანაშვილის თქმით, მან "ცოდვების სიმძიმეს" ვერ გაუძლო და ამიტომ აღიარა დანაშაული. როგორც თავად ამბობს, ალა სესიტაშვილს ყაჩაღობის მიზნით დაესხა თავს და მოკლა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მირიანაშვილი პოლიციაში რამდენიმე წლის წინ ჩადენილი ქურდობის აღიარებისთვის მივიდა.

**"იგი პოლიციაში იმისთვის მოვიდა, რომ ქურდობა ეღიარებინა, მაგრამ მოულოდნელად საუბარი იმ მკვლელობაზე დაიწყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოხდა და, მეტიც - ამ მკვლელობისთვის სასჯელს უკვე იხდის კიდეც სასამართლოს მიერ დადანაშაულებული პირი",** - ამბობს გამომძიებელი ვანო ღვედაშვილი.

მირიან მირიანაშვილის თანაკლასელი ივანე დევიძე ალა სესიტაშვილის მკვლელობისთვის, უკვე ორი წელია, იხდის სასჯელს. იგი სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 2004 წელს თავის ძმასთან არასრულწლოვან ვეფხო დევიძესთან ერთად გაასამართლა. ეს უკანასკნელი ცხენების ქურდობაში იყო ეჭვმიტანილი და მას პირობითი სასჯელი მიესაჯა, ხოლო ივანეს სასამართლო განაჩენი სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის - დეზერტირობის, იარაღის ტარება-შენახვისა და სესიტაშვილის მკვლელობისთვის გამოუტანეს. თუმცა, ივანე დევიძემ სასამართლოზე, მკვლელობის გარდა, ყველა დანაშაული აღიარა, მაგრამ მოსამართლე იოსებ ბეგიაშვილმა დაადგინა, რომ სამხედრო პროკურატურის მიერ შეგროვებული ყველა მტკიცებულება იმაზე მიუთითებდა, რომ ალა სესიტაშვილის მკვლელი ივანე დევიძე იყო, რისთვისაც, სასჯელთა შეკრების წესით, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი არ გასაჩივრებულა. თუმცა, როცა გაზეთი "24 საათი" აღნიშნული განაჩენის დეტალებით დაინტერესდა, იოსებ ბეგიაშვილმა თავის მიერ გამოტანილი განაჩენი ვერ გაიხსენა. **"ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა და საქმის დეტალები აღარ მახსოვს"**, - იმართლებს თავს ბეგიაშვილი.

მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ივანე დევიძის მეზობლების თქმით, დევიძეების ოჯახს ალა სესიტაშვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მათი დამოკიდებულება წვრილმანმა სამეზობლო დავამ შეცვალა, თუმცა სერიოზულ დაპირისპირებამდე საქმე არასოდეს მისულა. ამას თავად სესიტაშვილის ოჯახის წევრებიც ამბობენ. სასამართლოსგან მკვლელად შერაცხული ივანე დევიძის დედა კი, როგორც მისი მეზობლები ამბობენ, ზემდგომი ორგანოებისგან წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას.

**"მართალია ივანე სხვადასხვა ხულიგნობას ჩადიოდა, მაგრამ მისი მკვლელობაში მონაწილეობა ჩვენთვისაც წარმოუდგენელი იყო. დედამისს კი არავინ უჯერებდა, რომ მისი შვილი უდანაშაულო იყო. იმ დროს ისეთი ცხოვრება იყო, რომ დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც დამნაშავედ აცხადებდნენ",** - ამბობს დევიძეების მეზობელი, რომელიც მოსამართლე ბეგიაშვილის შიშით, საკუთარ ვინაობას ვერ ამხელს.

რაც შეეხება მირიან მირიანაშვილს, მისი ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ იგი სხვადასხვა დანაშაულში მონაწილეობდა, რის გამოც, პირობით სასჯელსაც იხდიდა, მაგრამ, მათივე თქმით, მკვლელობა მირიანს არ ჩაუდენია. **"დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი აიძულეს, ის დანაშაული ელიარებინა, რომელიც არ ჩაუდენია",** - ირწმუნება მირიანის დედა ეთერ მირიანაშვილი.

როგორც სიღნაღის პოლიციაში ამბობენ, მირიან მირიანაშვილის აღიარებამ ისინი დააბნია კიდეც. ამჟამად მირიანაშვილს ბრალი მხოლოდ ქურდობისთვის აქვს წაყენებული. დამძიმდება თუ არა მისი ბრალდება მკვლელობის მუხლით და შეუმსუბუქდება თუ არა სასჯელი ივანე დევიძეს, ამას გამოძიება დაადგენს. ალა სესიტაშვილის მკვლელობაში ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო კი, ძიება დაწყებულია.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________
____________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..................................

საკონტაქტო ტელეფონი.............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ჯავახიშვილის 45 "ხოფმარკეტის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0117 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ტურინი 2006

# მე ვარ ერთი ციდა...

## ელენე გედევანიშვილს ყურადღება და მოედანი სჭირდება



თავისუფალი პროგრამის ექვსეული სახელების მიხედვით თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა: ევროპის შვიდგზისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი რუსი ირინა სლუცკაია, იაპონელი შიზუკა არაკავა - მსოფლიოს ჩემპიონი და აწ უკვე ტურინის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი, ამერიკელი საშა კოენი - მსოფლიო ჩემპიონატების ორი ვერცხლის მედლის მფლობელი და ახლა უკვე ტურინული ვერცხლისა, იაპონელი ფუმი სუგური მსოფლიო ჩემპიონატების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ლიდერთა ჯგუფში მხოლოდ ამერიკელი კიმი მაისნერი და ქართველი გედევანიშვილი იყვნენ ისეთები, რომლებსაც კონტინენტურ ჩემპიონატებზე ჯერჯერობით მედლები არ მოუპოვებიათ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პატარები არიან (მაისნერი გედევანიშვილზე სამი თვით უფროსია) დასაძრახიც არაფერია.

ბიბა გურასაშვილი

*იმის ნაცვლად, რომ გაეიოლებინა, პირიქით მოიქცა - რთულ ელემენტებს შეება. სენსაციად შერაცხულმა ქართველმა მოციგურავემ, იმის მიუხედავად, რომ აშკარად ნერვიულობდა და ორი ელემენტი ჩააგდო, მაინც ბოლომდე ისრიალა. მანამდე კი ქართულ-აღმოსავლურ ორიგინალურ მუსიკალურ კომპოზიციაზე ცეკვით მაყურებელი აიყოლია. ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურული სრიალის ყველაზე პატარა მონაწილე ელენე გედევანიშვილი რამდენიმე წუთში მსოფლიო ელიტაში შევიდა. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.*

მადა ჭამაში მოდისო და ეს ყველაზე უკეთ ქართველებმა ვიცით. მოკლე პროგრამაში საუკეთესო ექვსეულში დაწინაურების შემდეგ იმედი გაგვიღვივდა: იქნებ მედალსაც შევწვდეთო. თუმცა, ყველამ ვიცოდით, რომ ეს უფრო ოცნება იყო. მიუხედავად ამისა, ელენეს მე-10 ადგილიც წარმატებაა, ამასთან, იმედის მომცემი შედეგი, რომ მომავალში უკვე მედლისთვის იბრძოლებს.

სახელიანი სპორტსმენები სხვა ჯგუფებშიც იყვნენ, მაგრამ საქმე არ წაუვიდათ. ლიდერებმაც კი, რომლებსაც მედლებისთვის უნდა ებრძოლათ, არაერთი შეცდომა დაუშვეს. საშა კოენი, რომელიც გედევანიშვილის შემდეგ გამოვიდა, ორჯერ წაიქცა და საკუთარ თავს თავადვე შეუშალა ხელი დაუფლებოდა ჩემპიონის ტიტულს, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯებმაც აშკარად დაინდეს და ქულებით უხვად დააჯილდოვეს. სლუცკაიაც, რომელიც მისთვის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობდა, ძალზე ნერვიულობდა. ამის გამო ერთი ელემენტიც ჩააგდო. მანამდე ერთადერთი არაკავა იყო, რომელიც მშვიდად და უშეცდომოდ ასრულებდა სავალდებულო ელემენტებს. ასე რომ, იაპონელის გამარჯვება ყველაზე კანონზომიერი იყო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იაპონელზე არ ყოფილა ისეთი ფსიქოლოგიური ზეწოლა, როგორიც კოენისა და სლუცკაიას შემთხვევაში იყო. ანუ, არაკავასთვის უფრო ადვილი იყო ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ვიდრე ამერიკელი და რუსი მოციგურავეებისთვის, რომლებიც წინდაწინვე ჩემპიონებად შერაცხეს. ამან კი ორივე მათგანს დათვური სამსახური გაუწია. მსგავს სიტუაციაში იყო კაროლინა კოსტნერიც - იტალიელთა მთავარი იმედი.

ერთი სიტყვით, ელენე გედევანიშვილის სახით მომავალი ჩემპიონი გვეზრდება, რასაც საქმის მცოდნენიც ადასტურებენ.

ახლა მთავარია, მისი სახით მომავალი არ დაიკარგოს და საქართველოში შეექმნას სავარჯიშო პირობები, რათა სხვათა დასაყვედრებელი არ გახდეს საქმე (თუ უკვე არ გამხდარა).

და კიდევ, იმის გათვალისწინებით, რომ სპორტის ეს სახეობა ძვირი ფუფუნებაა, კარგი იქნება, თუ ნიჭიერ სპორტსმენს გამოუჩნდებიან მეცენატები, რომლებიც მის ოჯახს მხარში ამოუდგებიან. კარგი მწვრთნელი კი დიდად ფასობს.

გუშინ ოლიმპიური თამაშების ქართველ გმირთან ტურინში დაკავშირება ვცადე, მაგრამ, როგორც საქართველოს ფიგურული ციგურაობის ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ მითხრა, ელენე ახლა თვითმფრინავშია და მოსკოვისკენ მიემგზავრებაო. რამდენიმე შეკითხვაზე თავად ბატონმა ირაკლიმ მიპასუხა.

**- მოკლე პროგრამისგან განსხვავებით, ეტყობოდა, რომ თავისუფალში უფრო ნერვიულობდა...**

- საკვირველი ისაა, ჭკუაზე როგორ იყო. პირველივე სტარტზე ექვსეულში მოხვდა, იქ, სადაც მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავეები გამოდიოდნენ. საკვირველია, ამდენს რომ გაუძლო. ასე რომ, მეათე ადგილიც დიდი შედეგია. ირინა სლუცკაიასაც კი, რომელსაც დიდ შეჯიბრებებზე გამოსვლის მდიდარი გამოცდილება აქვს, უმტყუნა ნერვებმა. ასევე დაემართა საშა კოენს. არადა, ერთ-ერთი ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ შიზუკა არაკავაც უძლიერესი მოციგურავეა, უმეტესობა თვლიდა, რომ ჩემპიონობა ამერიკელს ან რუსს დარჩებოდა.

**- რუსი კომენტატორები ელენეს მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ...**

- რუსი თუ ამერიკელი სპეციალისტები საქებარ სიტყვებს არც აქ იშურებდნენ. მსაჯებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, მაგარი გოგო გეზრდებათო. რუსებმა კი - აღარ ხუმრობთ, ჩვენებთან მოგებას იწყებთო. ამაში სოკოლოვას გულისხმობდნენ *(ელენე სოკოლოვამ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, ტურინში კი მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში მე-14 ადგილზე გავიდა.-რედ.)*

**- ელენეს დიდ სპორტსმენად ჩამოყალიბებას მარტო სიტყვებიც ვერ უშველის...**

- რა თქმა უნდა, ბევრია გასაკეთებელი. პირველ ყოვლისა, ერთი სტანდარტული ყინულის მოედანი საქართველოშიც უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ნიჭიერი ბავშვები ჩვენშიც არიან. ამ შემთხვევაში მარტო ელენეზე არ ვლაპარაკობ, სხვა ბევრი კარგი სპორტსმენიც გაიზრდება.

**- პერსპექტივა როგორია?**

- ელენეს მსგავსად, რუსეთში ემზადება ეკატერინა ზაიკინასა და ოთარ ჯაფარიძის სპორტული წყვილი, ასევე ნუცა ხუბულავა.

**- სპორტულ წყვილს როდის ვიხილავთ?**

- მარტის დასაწყისში ზაიკინა-ჯაფარიძის წყვილი იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. სხვათა შორის, ზაიკინასთავის ასეთი რანგის ასპარეზობა სადებიუტო იქნება.

**- ვიცით, რომ ელენეს მიხეილ სააკაშვილმაც დაურეკა და წარმატება მიულოცა...**

- პრეზიდენტის სატელეფონო ზარმა ელენე გააკვირვა და ძალიან გაახარა. ამბობდა კიდეც, ამას ვერც წარმოვიდგენდიო.

**- რაკი მათ უკვე გაიცნეს ერთმანეთი, ახლა შეგიძლიათ ყინულის მოედნის მოწყობაზეც ისაუბროთ...**

- ამის დიდი სურვილი გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ პირთა განწყობა კარგია. დიდი საქმე გაკეთდება, თუ ერთი მოედანი საქართველოშიც იქნება.

**- ტურინის შემდეგ გედევანიშვილს სად ვიხილავთ?**

- მარტში ლიუბლიანაში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე (6-12 მარტი) უნდა წასულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ტრავმა ჯერაც აწუხებს (მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ გარისკვა არ ღირს), ვამჯობინეთ, მარტის ბოლოს (20-26) კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდეს. მანამდე ცოტას დაისვენებს და უკეთაც მოემზადება.

**P.S.** კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობას აპირებენ საშა კოენი და ირინა სლუცკაია. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემა ამაში გვარწმუნებს.

**ფიგურული სრიალი**

**ქალები:**

| | |
|---|---|
| 1. შიზუკა არაკავა (იაპონია) - | 191,34 |
| 2. საშა კოენი (აშშ) - | 183,36 |
| 3. ირინა სლუცკაია (რუსეთი) - | 181,44 |
| **10. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) -** | **151,46** |

ფეხბურთი

# ტოპმიოლერს გეგმები აერია

მიხეილ აბაიშვილი

კლაუს ტოპმიოლერს, რომლის ნახევრად ოფიციალური დებიუტი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მალტის ტურნირზე შედგება, ნაწილობრივ აერია გეგმები. წინასწარი ინფორმაციით, ტურნირი ოთხგუნდიანი უნდა ყოფილიყო და წრიული სისტემით ჩატარებულიყო. ცნობილი იყო მონაწილეოთა ვინაობაც - მალტის, საქართველოს, მოლდოვისა და ლიბიის ნაკრები გუნდები. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 6-დღიან შუალედში სამი თამაშის გამართვის საშუალება ეძლეოდა. ეს ხელს აძლევდა კლაუს ტოპმიოლერს, რომელიც ჯერ კარგად არ იცნობს ქართველ ფეხბურთელებს და მათ შესაძლებლობებზეც მწირი წარმოდგენა აქვს.

სამწუხაროდ, ბოლო მომენტში ლიბიელებმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ორგანიზატორებმა ცაიტნოტურ ვითარებაში დაიწყეს ლიბიელთა შემცვლელის ძებნა, მაგრამ ვერც ერთი ნაკრები ვეღარ დაითანხმეს და ტურნირიც "შეკრეჭილი" რეგლამენტით - სამი გუნდის მონაწილეობით ჩატარდება. პირველი მატჩი, რომელიც დღეისთვისაა დაგეგმილი, მალტისა და მოლდოვის გუნდებს შორის გაიმართება. საქართველოს ნაკრები დღეს ისვენებს. ის 27 თებერვალს ჩაებმება ტურნირში. მისი მეტოქე იქნება მოლდოვის ნაკრები. დასკვნითი მატჩი 1 მარტს ჩატარდება. ერთმანეთს შეხვდებიან მალტისა და საქართველოს ნაკრებები.

ტოპმიოლერი ორმოცამდე ფეხბურთელის გამოცდას გეგმავდა ამ ტურნირში. მალტაზე 35 ფეხბურთელი წაიყვანა. როგორც ცნობილია, გერმანელ სპეციალისტს გერმანული სიზუსტით უკვე შემუშავებული ჰქონდა სამივე თამაშის გეგმა. შედგენილი ჰქონდა სამივე მატჩის ძირითადი შემადგენლობა და იმ ფეხბურთელთა სიაც, რომლებიც შეცვლაზე ჩაერთვებოდნენ თამაშებში. სამწუხაროდ, ტოპმიოლერს ამ გეგმაში სერიოზული ცვლილებების შეტანა მოუწევს.

იმის მიუხედავად, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების გეგმის მალტური ნაწილი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს საგრძნობლად ეცვლება, ეს მთლიან გეგმაზე დიდ ზეგავლენას მაინც ვერ მოახდენს. შესარჩევი ციკლის სტარტამდე კიდევ რამდენიმე ამხანაგური თამაშია დაგეგმილი. კერძოდ, 20 მარტს ტოპმიოლერი "ხუთჯვაროსნებს" ალბანეთში წარუძღვება და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან გამართავს სპარინგმატჩს. გაცილებით საინტერესო თამაშია დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სტარტამდე ათი დღით ადრე. 31 მაისს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში მუნდიალის ფინალისტს, პარაგვაის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. სწორედ ეს მატჩი გასცემს პასუხს ბევრ შეკითხვას. პირველ რიგში კი გაირკვევა, თუ რამდენად მზადაა ჩვენი გუნდი მართლაც ძლიერ მეტოქეებთან უმაღლეს დონეზე კონკურენციის გასაწევად.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარზე საბოლოო შეთანხმებას მეორე ქვეჯგუფის ქვეყნები კვლავაც ვერ ახერხებენ. ექვსი ქვეყანა - იტალია, საფრანგეთი, შოტლანდია, საქართველო, ლიტვა და ფარერები პრაქტიკულად ყველა საკითხზე შეთანხმდნენ, უკრაინელები კი ამ ექვსეულს კვლავაც ეწინააღმდეგებიან და ამ ვარიანტზე უარს აცხადებენ. თუ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დაყოლიება 27 თებერვლამდე ვერ მოხერხდება, მაშინ კალენდარს კენჭისყრის წესით დაადგენს უეფა. ახლანდელი ვარიანტით, რომელიც, სხვათა შორის, ძალზე მოსწონს ტოპმიოლერს, საქართველოს ნაკრებს წელს მხოლოდ ორი ოფიციალური თამაში აქვს ჩასატარებელი და ორივე სტუმრად - იტალიასთან და ფარერებთან. თუ კალენდრის საკითხი უეფას გადასაწყვეტი გახდა (და ალბათ ასეც იქნება), წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, წელს ვისთან და სად მოგვიწევს თამაში. საკითხი საბოლოოდ 2 მარტს გაირკვევა. სწორედ ამის შემდეგ დაიგეგმება საზაფხულო თუ საშემოდგომო სპარინგმატჩები.

აქვე შეგახსენებთ, რომ მოლდოვას, რომელთან მატჩითაც ჩაებმება საქართველოს ნაკრები მალტის ტურნირში, ჩვენი გუნდი არაერთხელ შეხვედრია. მეტიც: ეროვნული ნაკრებების დონეზე საქართველომ თავის პირველი გასვლითი მატჩი სწორედ კიშინოვში ჩაატარა. მაშინ ჩვენმა გუნდმა 4:2 გაიმარჯვა. გოლები გაიტანეს ქეცბაიამ, გიორგი დარასელიამ, მიხეილ ჯიშკარიანმა და ყაველაშვილმა. საერთო ჯამში, საქართველო და მოლდოვა შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამჯერ გაიმარჯვა საქართველომ, სამჯერ - მოლდოველებმა. ერთი მატჩი ფრედ დასრულდა.

# პროფლიგამ სპონსორები იშოვა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას ახალი სპონსორი ჰყავს - "აიეტი ტვ". ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პრესკონფერენცია გამართა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ.

"სასიხარულოა, რომ ქართული ბიზნესი სულ უფრო მეტ ინიციატივას იჩენს და სპორტში, კონკრეტულად, ფეხბურთში ინვესტიციებს არ ერიდება. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ამ პროცესის მასშტაბები გაცილებით ფართო იყოს. ამჯერად "აიეტი ტვ"-სთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და ეს კომპანია ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი გახდა. იდეის დონეზე "აიეტთან" დაწყებულია კონსულტაციები საფეხბურთო არხის შექმნის თაობაზე, რომელიც დაახლოებით ისეთი ფორმატის იქნება, როგორიცაა "ნტვ ფეხბურთი". დამთავრდა მოლაპარაკება ტელეკომპანია "აჭარასთან". მომდევნო ტურიდან მოყოლებული, ეს ტელეკომპანია ბათუმის "დინამოს" ყველა საშინაო შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას მოაწყობს. ამ მიმართულებით მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ტელეკომპანია "იმედთან" და საზოგადოებრივ მაუწყებელთან. ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას", - განაცხადა რევაზ ლორთქიფანიძემ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. პირველად საქართველოს თასის გათამაშების 16-წლიან ისტორიაში ფინალი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს არ ჩატარდება, რასაც თავისი ახსნა აქვს.

"წელს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი 26 მაისს არ გაიმართება. უკვე გადაწყდა ახალი თარიღი - 13 მაისი. ეს იმით არის განპირობებული, რომ 24 მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები იწყებს საწვრთნელ შეკრებას. თასის ფინალი წელსაც საზეიმო ვითარებაში ჩაივლის. საორგანიზაციო საკითხების დაფინანსების პრობლემაც თანდათან გვარდება - უკვე მოვძებნეთ ფინალის ერთი სპონსორი. ეს გახლავთ კომპანია "მაკდონალდსი", - თქვა გენერალურმა მდივანმა.






**ღია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

აჭარის ა/რ-ის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2006 წლის 4 თებერვალს გაზეთ "24-საათ"-ში (შაბათი N24) გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

განცხადების მეორე პუნქტში - შესყიდვის ობიექტი.

**III ლოტი** - პროთეზების შეძენა: პროთეზი ტოტალური ანუ ორპოლუსიანი, ერთპოლუსიანი (ცემენტიანი, უცემენტო) 73 ერთეული შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**III ლოტი** - პროთეზების შეძენა: პროთეზი ტოტალური ანუ ორპოლუსიანი, ერთპოლუსიანი (ცემენტიანი, უცემენტო) 60 ერთეული.

გვ (B4) - შუაში განთავსებული განცხადება.

**ცვლილება სატენდერო განცხადებაში**

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ **სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

1. განცხადების მე-13 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 2 %".**

2. მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

**"შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან."**

**სატენდერო კომისია**
**25 თებერვალი 2006წ.**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის შესაქმნელი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის მსურველთ სია შეგიძლიათ იხილოთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე: WWW.CEC.GOV.GE**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 98 70 16; 98 70 14**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში რუსთაველის N10, გოგებაშვილის N74 და ახმეტელის N9 ქუჩებზე მდებარე საცხოვრებელი სახლების პილიკარბონატული ფილებითა და ალუმინის პროფილით ფასადების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ივნისამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 მარტიდან 2006 წლის 21 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 20 მარტის 17 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

სახალხო დამცველის აპარატის სატენდერო კომისიას შეაქვს შესწორება მის მიერ 2006 წლის 10 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ.

კერძოდ: პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების მიღების საბოლოო ვადა ნაცვლად 2006 წლის 3 მარტის 11.00 საათისა გადატანილ იქნას 2006 წლის 6 მარტის 12.00 საათზე.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შესახებ

2006 წლის 02 თებერვალს შპს საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვებული იქნა სატენდერო განცხადება საავიაციო ნავთის შესყიდვის შესახებ.

სატენდერო კომისია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტს შესყიდვის პროცედურებს საავიციო ნავთის შესყიდვის მიზნით.

სატენდერო კომისია

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **მშენებარე-დაუმთავრებელ ობიექტებზე (ნაგებობებზე) წყალსატუმბი და სავენტილაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნას განცხადებიდან შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

**"13. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%".**

სატენდერო კომისია 25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის, დაცვითი და ვიდეო სამეთვალყურეო სიგნალიზაციის სისტემების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას მე-6 პუნქტის შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი:

**"ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება 5%"-ის ოდენობით."**

2. შეტანილ იქნას ცვლილება განცხადების მე-8 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 9 მარტის 13.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **საქონლის (ნათურები) სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნას განცხადებიდან შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

**"14. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%".**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **საცხი-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას მე-7 პუნქტის შემდეგი შინაარსის პირველი აბზაცი:

**"ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება 5%"-ის ოდენობით."**

**2.** შეტანილ იქნას ცვლილება განცხადების მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 6 მარტის 17.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **მატარებლის გოგორწყვილების კაპიტალური შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. განცხადების მე-8 პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 8 მარტის 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **საქონლის (საკისარი) სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. განცხადების მე-3 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შესყიდვის ობიექტი: საკისრები

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად:

-"საკისარი ბურთულა"

-"საკისარი გორგოლაჭოვანი".

2. შეტანილ იქნას ცვლილება განცხადების მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ა N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 თებერვლის 10:00 სთ-დან 2006 წლის 13 მარტის 16:00 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".**

3. განცხადების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები, ფაქსი).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია უკანასკნელი 3-წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა რომ უკანასკნელი 5-წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (შსს ინფორმატიზაციის სამმართველოდან ).

4. ამოღებულ იქნას განცხადებიდან შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

**"13. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%".**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას მე-6 პუნქტის შემდეგი შინაარსის პირველი აბზაცი:

**"ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%".**

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1. პუნქტი:

**"3.1. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება"**

3. შეტანილ იქნას ცვლილება განცხადების მე-8 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 6 მარტის 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ **საწვავი მასალების სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას მე-7 პუნქტის შემდეგი შინაარსის პირველი აბზაცი:

**"ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება 5%"-ის ოდენობით."**

2. შეტანილ იქნას ცვლილება განცხადების მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 7 მარტის 13.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

ქ.თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაზეთ "24 საათში" ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ **საქონლის (რელსი რ-50) სახელმწიფო შესყიდვის** სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. განცხადების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირებისათვის;**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია უკანასკნელი 3-წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა რომ უკანასკნელი 5-წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (შსს ინფორმატიზაციის სამმართველოდან )."

2. მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

**"შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან."**

სატენდერო კომისია
25 თებერვალი 2006წ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქალაქის მხატვრული გაფორმების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 მარტიდან 2006 წლის 21 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 20 მარტის 17 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# დაღს ნუ დაისვამთ

კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერი ეპოქის, რჯულისა და ფერის ადამიანთა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება სიყვარულია. სიყვარულის გამო იწყებოდა ომები, იდებოდა ზავები, იწერებოდა შედევრები, სიყვარულისთვის ცოცხლობდნენ და თავს იკლავდნენ. სიყვარულისთვის მონასტრებში მიდიოდნენ და ბრძოლის ველზე იღუპებოდნენ. უყვართ შვილები, ცხოველები, კაცები, ქალები, ბუნება, პოეზია, მშობლები, წვიმიანი თუ მზიანი ამინდი, ღვინის დალევა, მუსიკა, ნათესავები, მეგობრები, საკუთარი სახლი, უბანი, სახლი, სადაც ბავშვობაში ცხოვრობდნენ და, რაც მთავარია, სამშობლო. სიყვარულის უნარის მქონე - ბედნიერ, სულიერად მდიდარ ადამიანად ითვლება. კაცობრიობას ერთნაირად უყვარს, ერთნაირად ჭორაობს, ერთნაირად სძულს, შურს, უხარია და წყინს, ტირის და იცინის, ბოლმა ახრჩობს ან შეჰხარის, ეფერება ან კლავს. მთელ მსოფლიოში ადამიანები ერთნაირად მოსიყვარულენი და დაუნდობელნი, ხელგაშლილნი და ძუნწები, მდაბიონი და კეთილშობილნი არიან. ამ ყველასათვის დამახასიათებელ, გამაერთიანებელ თვისებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გაუმართლებელი, სიცოცხლის ბოლომდე სამარცხვინო დაღის დამსმელი ღალატია. არაერთი ინტერვიუ წამიკითხავს, მინახავს, სადაც სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანები ბანალურ შეკითხვაზე - "რას ვერ აპატიებდით?" - პასუხად ღალატს ასახელებენ. ღალატობენ კაცები ქალებს, ცოლები ქმრებს, მეგობრებს, თანამებრძოლებს, მეფეებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ხშირად საკუთარ თავსაც კი, მაგრამ უამრავი სხვადასხვა სახეობის ღალატის არსებობის მიუხედავად, ყველაზე უპატიებლად მაინც სამშობლოს ღალატი ითვლება, რომელიც ჯერ არასდროს არავის არავისთვის შეუნდია. სამშობლოს ღალატს ეკლესია თუ არა, ისტორია მაინც არ გაპატიებს. კაცობრიობის მთელი ისტორია გმირებისა და მოღალატეების სახელებს ინახავს. რაც უფრო მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპზე, ქვეყნისათვის რთულ პერიოდში, გადამწყვეტ მომენტში იქნა ნაღალატევი, მით უფრო ნაკლებია მისი პატიებისა და დავიწყების შანსი.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი გმირი, მაგრამ მოღალატეც ახსოვს. მათი ვერაგობის მეშვეობით ბევრი ბრძოლა წაგებულა, ჯარი განადგურებულა, მიწა-წყალი დაკარგულა, მნიშვნელოვანი საიდუმლო გაცემულა, გმირი მოკლულა. ღალატის გამო ისტორიული ბორბალი არაერთხელ უკან დატრიალებულა, თავისუფლება დაკარგულა, ჩვენი სამშობლოს ბედი უკუღმართად წარმართულა.

ისტორიის გადმოსახედიდან დღეს საქართველოში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დადგა, როდესაც ორასი წლის განმავლობაში ნებისმიერი პატრიოტი ქართველის ოცნება რეალობა ხდება. რუსული ბაზები გადიან, ქვეყანა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმწიფო ხდება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსი მეტ-ნაკლებად გამოჩნდა, სამშვიდობოებად შენიღბული რიგითი ოკუპანტები ჩვენს მიწას ადრე თუ გვიან აუცილებლად დატოვებენ. ამ სანუკვარი ოცნების რეალიზაციისათვის მთელი ქვეყანა - ოპოზიცია და ხელისუფლება, დიდი თუ პატარა, პრორუსული, პროქართული თუ პროინგლისური განათლების მქონე, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი, მუშა თუ პროფესორი, ზვიადისტი თუ ნაციონალი, წარსულში მინისტრი თუ აწმყოში დეპუტატი, ყველა ერთად არის გაერთიანებული. ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება. ამაზე ოცნებობდა მამაჩემი, ბაბუაჩემი, ბაბუაჩემის მამა და იმის მამა... ასეა ნებისმიერ ოჯახში, ნებისმიერ სოციალურ ფენაში. ასეა ყველასათვის, ვისაც სამშობლო ოდნავ მაინც აქვს აღქმული და უყვარს. ერთადერთი, ვინც ამ ჩამონათვალში ვერასდროს მოხვდება - სამშობლოს მოღალატეებია, რომლებიც იყვნენ და სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, დღესაც არიან. არა რუსების, არამედ დღევანდელი რუსული პოლიტიკის თამაშს თამაშობენ, მის წისქვილზე წყალს ასხამენ, მტრის გასახარს ქადაგებენ, მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობებით სპეკულირებენ, ანგაჟირებული მასმედიის საშუალებით პროპაგანდირებენ, ნებისმიერ შანტაჟსა და ავანტიურაზე, აშკარა პროვოკაციებზე მიდიან და ამაში კი სამშობლოს ღალატისთვის ასეთ დამახასიათებელ საზღაურს, მრავალმილიონიან დაფინანსებებს, მაღალი თანამდებობების დაპირებებს, ახალ-ახალ ჩინ-მედლებს ღებულობენ.

ღალატს, თუმცა ისევე, როგორც სიყვარულს, ათასი სხვადასხვა სახე აქვს - სულ მცირე, თითქოსდა უმნიშვნელოდან დაწყებული, საბედისწერო ღალატით დამთავრებული. საქართველოს პოლიტიკის გააქტიურებას, მიღწეულ შედეგებს მოღალატეთა გააქტიურებაც მოჰყვა. სულ უფრო ორგანიზებული, დაგეგმილი და ხშირ შემთხვევაში სახიფათო ხდება ხელისუფლების წინააღმდეგ ქმედებანი. არ იფიქროთ, რომ ხელისუფლების ხელშეუხებლობას ვქადაგებ. მათი ობიექტური კრიტიკის აუცილებლობას, სისწორეს არავინ უარყოფს. მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ საზოგადოება თითოეულ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებს. შეცდომების დრო დღეს არ არის. მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, ცალკეული მაღალჩინოსნის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და ერთპიროვნული თავხედობით მთელი სახელისუფლებო გუნდის დისკრედიტირებაც დღევანდელი ვითარების ფონზე, შეიძლება გაუცნობიერებელი, მაგრამ ღალატია.

ღალატზე საუბრისას აქვე დავამატებ - დამაფიქრებელი და ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ დაკვეთილი წერილებით განთქმული ზოგიერთი ანგაჟირებული ან უბრალოდ ჭორიკანა გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო და უფრო ხშირად, ფაქტობრივად მეთოდურად ხელისუფლების სწორედ იმ წარმომადგენელთა კომპრომეტირება ხდება, რომლებიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს, რუსეთთან უკიდურესად გართულებული ურთიერთობების მოგვარების, სამშვიდობოების გაყვანისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად და შედეგიანად მონაწილეობენ, რომელთა დისკრედიტირება მხოლოდ კოკოითს, ჟირინოვსკის ან გიორგაძის ინტერესებს ემსახურება და პიროვნების მხილებაზე მეტად სამშობლოს რიგით ღალატს უფრო წააგავს. არ მინდა დაკონკრეტება (თუმცა შემიძლია) და რომელიმე გაზეთისთვის, ჟურნალისტისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ან მით უმეტეს მოღალატეობაში დადანაშაულება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ვინმეს "სუფთა წყალზე" გამოყვანამდე დაფიქრდებიან, ამით ვის უფრო ემსახურებიან, "სიმართლეს" თუ კოკოითს, ვის უფრო ვნებენ, ცალკეულ პოლიტიკოსს, მთავრობის წევრს თუ მთლიანად საქართველოს.

საქართველოში დღეს ერთდროულად ორი მანქანა ამუშავდა. ერთს მთელი საქართველო მართავს და სრული დამოუკიდებლობისკენ, ნატო-სკენ, ევროკავშირისკენ, სახელმწიფოებრივი ცხოვრებისკენ მიყავს; მეორე კი რუსეთის კოლონიის, ღირსებადაკარგული ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებას უპატიებელი, სახიფათო, მაგრამ იოლად გასაშიფრი მეთოდებით შიდამოღალატეების ხარჯზე ცდილობს. დღეს, როდესაც რუსეთის დუმის ვიცესპიკერი ჩვენს სამშობლოს გუბერნიად მოიხსენიებს, ცალკეული პოლიტიკოსები, დეპუტატები დაბომბვით, განადგურებით გვემუქრებიან, სავიზო რეჟიმსაც კი გვიწყვეტენ, პრემიერ-მინისტრს ვიზიტზე უარს ეუბნებიან, პრეზიდენტს და ამით მთელ მის ელექტორატს შეურაცხყოფენ და წამყვანი ჟურნალისტი გვახსენებს, რომ ერთი ტყვია ომზე ბევრად იაფი ჯდება - მათი დაფინანსებით მოძრაობა "სამართლიანობის" ჩამოყალიბება, ჩეკისტი გიორგაძის ბოდვების პროპაგანდა, მასობრივი გამოსვლების დაფინანსება-ორგანიზება, ცალკეული წერილების გამოქვეყნება და უამრავი სხვა რამ, არაფერია სამშობლოს ღალატის გარდა. დღეს, როდესაც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, თითოეული დეპუტატი, თავდაცვისა თუ სახელმწიფო მინისტრი, პრეზიდენტი თუ რიგითი მოქალაქე ერთი დასახული მიზნისკენ მიდის; ყველაფერს, შესაძლებელსა თუ შეუძლებელს, აკეთებს, მათი გამარჯვება თითოეული ჩვენგანის გამარჯვება იქნება. მათი მიზანი თითოეული ჩვენგანის მიზანი უნდა იყოს. მათი ხელშეწყობა თითოეული ჩვენგანის ვალია, ხელის შეშლა, მტრისთვის სასურველი ფონის შექმნა კი, არა ცალკეული ჩინოსნების, არამედ მთელი საქართველოს, სამშობლოს ღალატია.

# ერთმოქმედებიანი პიესა საკურსოსათვის

**მოქმედი პირები -** წამყვანი - განასახიერებს ქვეყანას.

**ადამიანთა ჯგუფი** - 10 კაცი, 2 ქალი.

**კობა ბექაური** - განზოგადებული პერსონაჟი.

ნებისმიერი მსახიობი, სასურველია არაკლასიკური თავის ფორმით.

**სცენოგრაფია** - ი. გამრეკელი გარდაიცვალა.

გია ბულაძე

**მუსიკა** - საქართველოს ჰიმნი. მემანიშვილის ვარიანტი. ფონ კარაიანის შესრულებით.

**კოსტიუმები** - დიზაინერი თეონა თავართქილაძე.

■ ■ ■

**სცენა** - საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ბოლო წლების მიღწევების ამსახველი ბულაძისეული ფერადოვნების ფოტოკოლაჟი სცენის უკანა კედელზეა გაკრული. თენდება (**განათება წითელი**). შორს, სადღაც ზემოთ ტელეანძა ციმციმებს. ჯორჯ ბუშის და კონდოლიზა რაისის პაპიემაშესგან გაკეთებული ფიგურები აივნიდან სცენას გადმოჰყურებენ. წამყვანი ადამიანთა თორმეტკაციან ჯგუფს ავარჯიშებს. ყველა მათგანს ერთნაირი, ზომაზე დიდი მაისურები აცვიათ, წარწერით "მაკა ასათიანი". ერთ ქალს მაისურზე ზემოდან ხაზგასმულად დიდი და ძვირფასი გულსაბნევი უკეთია.

**წამყვანი** - ჯგუფო სდექ! სწორდი! ჩვენმა ქვეყანამ მყარი ნაბიჯით წინსვლა დაიწყო და ახლა მწყობრში სიარული თქვენც უნდა ისწავლოთ. წინ მნიშვნელოვანი აღლუმი გველოდება. შეცდომის უფლება არავის აქვს. აღლუმამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა, მწყობრში კი ჯერ ბევრია ისეთი, ვისი იმედიც არ მაქვს. თქვენს გამო შერცხვენას არ ვაპირებ! უუნარობას, უნიჭობასა და ურითმობას ვერავის შევუნდობ! თითოეულთან ინდივიდუალურად მუშაობის საშუალება არ გვაქვს. დრო, როდესაც ჰიმნის მუსიკაზე მარშირება არავინ იცოდა, თქვენ არავინ გამოწმებდათ, არაფერი გევალებოდათ, არაფრის გეშინოდათ და არსებულ ქაოსში პირველ რიგებში გაჭრისა და იქ დამკვიდრების შანსი ნებისმიერ რიგით ავანტიურულ უნიჭოს ჰქონდა, საბედნიეროდ, დასრულდა. აბა, მოდით, ახლა ვნახოთ, რისი მაქნისები ხართ?! აბა, ქვეყნის ნაბიჯის რითმსა და ტემპს თუ აყვებით?!

სწორდი! ნაბიჯი წინ!

ჯგუფი იჭიმება, სწორდება და ერთმანეთის მიწევ-მოწევის შემდეგ წინ ერთ დიდ ნაბიჯს დგამს. ცოტა ყანყალებენ, ბარბაცებენ, მაგრამ დგანან. არაკლასიკური თავის ფორმის მქონე განზოგადოებული პერსონაჟი რიგს ეყოფა, ადგილზე რჩება, "ავანტიურაა!" - ხმამაღლა ყვირის, დაბნეული მიმოიხედავს, მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს და რიგის საწინააღმდეგოდ ნაბიჯს უკან დგამს.

**წამყვანი** - ბექაური, მარცხნივ! ახლავე გადი რიგიდან! ვიცოდი, რომ პირველი შენ შეგვარცხვენდი! ჩქარა გადი, ხელს ნუ გვიშლი!

თავჩაქინდრული ბექაური რიგიდან გამოდის, ავანსცენასთან მიდის და დარბაზს იმათი სახელების ჩამოთვლას უწყებს, ვისაც მასავით შეეშალა, მაგრამ რატომღაც არ გააგდეს.

**წამყვანი (განრისხებული ხმით)** - ბექაური! თავი გააკონტროლე! ნუ ენატანიობ! ვინ ვინ არის, უშენოდაც ვიცით! შენი დახმარება არ გვჭირდება. რამე ხეირიანი თუ შეგეძლო, აღლუმში მონაწილეობა თუ გინდოდა, გეამაყებოდა, ადრე გეფიქრა! კარგი, ნუ ტირიხარ! (ტონი ცოტა ურბილდება) დამიჯერე, მალე უპრეცედენტოდ გაძევებულად, მარტოდ თავს აღარ იგრძნობ. ზოგიერთები სულ მალე შემოგიერთდებიან.

ბექაური ზლუქუნს განაგრძობს.

**წამყვანი (კვლავ მკაცრად)** - ბექაური, ხმა გაიწყვიტე! აეროპორტი მომინდომა! უყურე ამას! მწყობრში სიარული არ შეგიძლია და ფრენა მომინდომა! ნერვები არ ამიშალო, თორემ ფრენას გაჩვენებ!

ჯგუფო, სწორდი! ნაბიჯით იარ!

ჯგუფი წამყვანს მიჰყვება და სცენას ტოვებს. სცენაზე ნელ-ნელა ბნელდება. მხოლოდ ანძა ციმციმებს. ავანსცენაზე კი ერთი ლამპიონით განათებული ბექაური ზის, ტირის და "ავანტიურა", "ავანტიურა"-ს ჰიმნის რითმზე გაიძახის.

**ფარდა.**

**აპლოდისმენტები საჭირო არ არის. საკურსოა.**

**P.S.** - ნატვრა.

სტურუა ამ ბოლო დროს ისეთ პიესებს ირჩევს, ეგება ესეც მომიწონოს.

# სასიამოვნო სიახლეები














თავისი თავის მომვლელი ნებისმიერი ქალბატონი კოსმეტიკის, პარფიუმერიის, სუნამოს შერჩევას უდიდეს დროსა და მნიშვნელობას ანიჭებს. ცნობილმა კოსმეტიკურმა ფირმა "დიორმა" კი დიდი დრო ახალი მაღაზიის ადგილის შერჩევას დაუთმო და, როგორც იქნა, რუსთაველზე საბოლოოდ შეჩერდა. მაგრამ ფირმა "დიორის" მხრიდან ახალი ადგილის არჩევაზე უფრო მნიშვნელოვანი და სწორი საქართველოში "დიორის" სახედ ნანი ბრეგვაძის არჩევა იყო.

ახალი ადგილი, ახალი მაღაზია, ახალი მომხიბვლელი სახე და ახალი ნაწარმი - ამ ყველაფრის პრეზენტაცია ამ კვირაში თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე შედგა, რასაც "დიორის" მომხმარებელ მოვლილ ქალბატონებთან პარალელურად, ესტრადის ვარსკვლავები, ცნობილი სახეები, ჟურნალისტები, მსახიობები და უბრალოდ რუსთაველზე გამვლელებიც ესწრებოდნენ. ჟღერდა მუსიკა, თეთრი ლიმუზინი წითელ ხალიჩასთან კონტრასტში შედიოდა, ლენტი იჭრებოდა და "დიორის" მსოფლიოში სახელგანთქმული ლოგოთი მოხატული ოქროსფერი საჰაერო ბუშტები თბილისის ცაში მიფრინავდნენ.

# გამოთხოვება

გუშინ საღამოს, 17 საათზე, საკუთარ სახლში გარდაიცვალა მუსიკოსი და მწერალი ირაკლი ჩარკვიანი. იგი 1961 წლის 19 ნოემბერს დაიბადა. ოქსფორდის უნივერსიტეტში გაიარა თანამედროვე პოეზიის კურსი. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული და გამოცემული აქვს ოთხი მუსიკალური ალბომი. ორი დღის წინ ავლაბრის ბავშვთა სახლში გაიმართა მისი ერთ-ერთი ადრეული და პოპულარული სიმღერის ნიკუშა შენგელაიას მიერ გადაღებული კლიპის პრეზენტაცია, რომელსაც ირაკლი ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დაესწრო. ოთხშაბათს კი დაგეგმილი იყო რომანის პრეზენტაცია, იმ ლიტერატურული ქმნილებისა, რომელსაც ირაკლი ჩარკვიანი არაერთი წლის განმავლობაში წერდა.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ირაკლის გამოუქვეყნებელი სტატიიდან:

**"კონტრრევოლუციაზე ლაპარაკი ბავშვობიდან ჩამესმის; ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბაბუაჩემი, ცკ-ს პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მიყვებოდა, თუ როგორ დაეკარგა გალაკტიონ ტაბიძეს ლენინის ორდენი და რომ არსებობს გამოჩენილი ხალხი, რომელიც ასე უდიერად ეპყრობა კომუნისტურ სიწმინდეებს. გალაკტიონს ეს აპატიეს, რადგან ის გალაკტიონი იყო. ასე რომ, თუ გინდა დაკარგო ლენინის ორდენი, ყველაზე უფრო ცოტა, ჯერ გალაკტიონი უნდა გახდე. მოკლედ, პრეცედენტი იმისა, რომ თავისუფლება ანუ დაუმორჩილებლობა შესაძლებელია, ჩემი ცნობიერების განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზე უკვე დაშვებული იყო. ჩემს ცნობიერებაში გაჩნდა ის ნაყოფი, რომლის მოწყვეტაც მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ. ამის ცოცხალი მაგალითი იყო მამაჩემი, რომლის მთელი მუსიკალური შემოქმედება, როკ-ოპერები ჩემ თვალწინ იწერებოდა..."**



ირაკლი ჩარკვიანი: "ჩემი წარმატების ფორმულა მარტივია - ეცადე ხვალ შეიყვარო ის, რისი სიყვარულიც არ გძალუძს დღეს".




ირაკლის ინგლისურენოვანი ლექსის ხელნაწერი.

■ ■ ■

**"შიშის ფაქტორი ხელისუფლების წინაშე დიდი იყო. ჩვენი ოჯახის შემთხვევაში ეს შიში ჯერ ბაბუაჩემმა გადალახა სტალინთან ყოველდღიური კონტაქტის დროს და მერე უკვე მამაჩემმა ბაბუასთან ურთიერთობის პერიოდში... "**

"24 საათის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ირაკლის მშობლებს, ქალბატონ ნანა თოიძეს და ბატონ გელა ჩარკვიანს, დას - თეონას, მეუღლეს - ქეთათოს და შვილებს - მაქსიმესა და პატარა ნანას.

# წარმატებული პროექტი ჟურნალისტებისთვის

ნათია ვადაჭკორია

ძნელია ისაუბრო რაიმე სახის წარმატებაზე საქმის ან პროექტის დასაწყისში, მით უმეტეს, როცა უცხო ენის შესწავლაზეა საუბარი. თუმცა, "ბრითიშ პეტროლიუმისა" და საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროექტი, რომელიც ქართველი ჟურნალისტებისთვის ინგლისური ენის საფუძვლიან შესწავლას ითვალისწინებს, დასაწყისშივე წარმატებული აღმოჩნდა. კონკურსის წესით შერჩეული 25 ჟურნალისტი, რომლებიც პრესის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოებისა და ტელევიზიის სხვადასხვა არხის წარმომადგენლები არიან, მომზადების დონის შესაბამისად, სამ ჯგუფად გაინაწილდნენ და შეუდგნენ სწავლას, რომელიც 15 თვეს გასტანს და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ოფისში მიმდინარეობს.

ბრიტანეთის საბჭოს მიერ შერჩეული პედაგოგები თამუნა ფალავა და ლიკა გოგსაძეც ძალისხმევას არ იშურებენ სწავლის დონის ასამაღლებლად. ინტენსიური მეცადინეობის გარდა, ჟურნალისტებს საშუალება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკის მდიდარი ლიტერატურული თუ ვიდეო და აუდიო მასალით.

ბრიტანეთის საბჭოში ორი დღის წინ ამ პროექტისადმი მიძღვნილ ლანჩზე ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის მენეჯერმა დევიდ გლენდინინგმა იხუმრა: ჟურნალისტები ინგლისურ ენას უფრო სწრაფად სწავლობენ, ვიდრე მე - ქართულსო.

მისივე თქმით, მსგავსი პროექტები ამ ორგანიზაციას 2003 და 2004 წლებშიც ჰქონდა. სწორედ მას შემდეგ წარმოიშვა იდეა, ჟურნალისტებისთვის უფრო ფართომასშტაბიანი პროექტი განეხორციელებინათ.

საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს დირექტორის ლენა მილოსევიჩის თქმით, ჟურნალისტები უფრო დაუახლოვდებიან მის ორგანიზაციას და მალე თარჯიმანიც აღარ დასჭირდებათ.

პროექტის საბოლოო მიზანი კი ის გახლავთ, რომ პროფესიით ჟურნალისტებმა საკუთარ პროფესიაში პროფესიონალურად გამოიყენონ ინგლისური ენის ცოდნა და არა დილეტანტურ დონეზე, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ჩვენს რეალობაში.

## TV5MONDE

25 თებერვალი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** სამხრეთის ანარეკლი. **11.25** პლანეტის 7 დღე. **12.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** გადაცემა: გურმანი. **17.30** სპორტი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** ბურლინგერის დღიურები. **21.30** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. (გაგრძელება) **02.20** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს. **05.40** პარიზი წვიმის ქვეშ. დოკ. ფილმი.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





# შთაბეჭდილებები - არა მარტო პოლიტიკაზე

*რატომ "პერპეტუუმ-მობილე"? იმიტომ, რომ მუდმივი ძრავის შექმნის იდეა ადამ და ევადან მოყოლებული კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს. რატომ მაინცდამაინც სალომე ზურაბიშვილი? იმიტომ, რომ ბოლო დროს ამ პოლიტიკოსის ჯერ საქართველოში ჩამოყვანა, მერე კი საქართველოდან ფეხის ამოკვეთის მცდელობამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. აქედან დასკვნა (ვისთვის - ნეგატიური, ვისთვის - პოზიტიური): როცა დოკუმენტალისტის ობიექტივში ასეთი პერსონა ხვდება, მეტაფორა იმთავითვე გასაგებია. პოლიტიკა ბევრისთვის აზარტული და საინტერესო საქმიანობა, ბევრისთვის კი ძველისძველი და მოსაწყენი აქტია. ამის მიუხედავად, ყოველთვის გამოერევა თითო-ოროლა, ვინც პოლიტტექნოლოგიების ცოდნაზე მეტად ხალხს სხვა საშუალებებით ამახსოვრებს თავს.*

სოფიო თოდუა

შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, რომ ბოლო დროს ქართული დოკუმენტური ფილმი არათუ ღრმა კრიზისში მოექცა, საერთოდაც დაკარგა ჟანრის შეგრძნება. სამწუხაროდ, დღეს დოკუმენტურ ფილმად საღდება ნებისმიერი რეპორტაჟი (უმრავლეს შემთხვევაში მდარე ხარისხის) ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენასა თუ პიროვნებაზე. განსაკუთრებით მძიმე სანახავია დროის მოგების მიზნით გაჭიანურებული კადრები, როცა მთელი გადამღები ჯგუფი, ვითომ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, სინამდვილეში წარსულის კვაზი-ინტერპრეტაციას გვთავაზობს და თავისი ჭკუით არანაირ შანსს არ გვიტოვებს, რომ ესა თუ ის მოვლენა, თუნდაც კარგი მეხსიერების ხარჯზე, ობიექტურად შევაფასოთ. ალექსანდრე ქორიძის "პერპეტუუმ-მობილე", ისევე როგორც მისი დანარჩენი ფილმები ("ჩე...", "მონასტერი", "სტიპენდიატები", "ზღვისეული") ბოლო დროს დამკვიდრებული ამ სტერეოტიპის დამსხვრევის მცდელობაა და, ამდენად, იმედს გვიტოვებს, რომ ქართველი კინოდოკუმენტალისტების ახალი თაობა მოცალეობის ჟამს დროდადრო ძველ ფილმებსაც გაიხსენებს.

კონტრასტებზე განსაკუთრებული აქცენტის დასმა, ცხადია, ალექსანდრე ქორიძის მიგნება არ არის და, თუ გულწრფელი ვიქნებით, არც ისე მომგებიანია. მაგრამ როცა რეჟისორი ამ ხერხს პოლიტიკური მოვლენების განზოგადოებისთვის მიმართავს და მაყურებლის გულის მოგებას ნატურალისტური შტრიხებით არ ცდილობს (არადა, ამ სენმა ბოლო დროს ლამის ეპიდემიის სახე მიიღო), ეს უკვე მისასალმებელია - მით უფრო ჩვენს შემთხვევაში, როცა ფილმის მთავარი და ერთადერთი პერსონაჟი სალომე ზურაბიშვილი გახლავთ. ალექსანდრე ქორიძის ფილმში მასა (და არავითარ შემთხვევაში ხალხი) შეგნებულად ინაცვლებს უკანა პლანზე. ერთი შეხედვით ძნელი გასარკვევია, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეშია გადაღებული ესა თუ ის კადრი; შესაძლოა, მაყურებელს დაუკმაყოფილებლობის განცდასაც უტოვებს, მაგრამ ეს მაყურებელი მალევე ხვდება, რომ პრობლემა, რომელზეც პოლიტიკოსი ქალი ყურადღებას ამახვილებს, საყოველთაოა და იმდენად სერიოზულ განსჯას მოითხოვს, ტრაფარეტული ფრაზები მხოლოდ ყურს გვჭრის. სამაგიეროდ, აღარ გვაღიზიანებს, თუმცა კი გვაკვირვებს რომელიღაც სოფლის რომელიღაც კლუბში წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის სიტყვები: "ჩემი კი არა, საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ". ეს, რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური პლატფორმაა. რაც შეეხება თავად რეჟისორის შემოქმედებით პლატფორმას, ის კიდევ უფრო მარტივი და პოლიტიკური ქვეტექსტებისგან დაცლილია. როგორც ფრანგები იტყოდნენ: impression. შთაბეჭდილება და არა შაბლონი, წარმოსახვა და არა დიქტატი, პერფორმანსი და არა სპექტაკლი, ძუნწი შტრიხები და არა მსუყე მონასმები... სხვათა შორის, რეჟისორიც ამ ქვეყნის ერთი ჩვეულებრივი მოქალაქეა, ოღონდ, სხვებისგან განსხვავებით, საკუთარი თავის იმედად ყოფნა არ აშინებს. ამიტომაც ამკვიდრებს ერთი შეხედვით თამაშის სახიფათო წესებს და იმ კადრებზეც არ ამბობს უარს, რაც ქართველ "ობივატელს" თუ არ გააღიზიანებს, დიდადაც არ აღაფრთოვანებს. სალომე ზურაბიშვილი კი ერთნაირი შარმით დაატარებს პარიზის ქუჩებში ტუალეტის ქაღალდის შეკვრას თუ თეთრი ყვავილების თაიგულს რუსთაველზე, ერთი ტონალობით ელაპარაკება დარბეულ შენობაში შეხიზნულ ლტოლვილებს თუ იმპოზანტურ მამაკაცებს ფრანგულ რესტორანში, ერთნაირი თავდაჯერებულობით ეკამათება აქაურ თუ იქაურ ქართველებს...



სალომე ზურაბიშვილი

პოლიტიკოსის უკეთ წარმოსაჩენად თხრობის ასეთი სტილი იქნებ მომგებიანიც იყოს, მაგრამ ალექსანდრე ქორიძე უპირველესად საკუთარ რენომეზე ზრუნავს და ისიც, როგორც ყველა გემოვნებიანი და წინდახედული რეჟისორი, პოლიტიკოსი ქალის გათვლილ თუ გაუთვლელ ნაბიჯებს უფრო იმიტომ უწყვილებს ერთმანეთს, რომ საბოლოო ჯამში მაყურებელს სალომე ზურაბიშვილის პორტრეტზე საკუთარი ფაქსიმილე დაანახოს: ალექსანდრე ქორიძე წარმოგიდგენთ.

# იპოვეს დამალული ბუანაროტი



იტალიური ქალაქი მარჩიალა ახალი აღმოჩენის მომსწრე გახდა. იქ არსებულ წმინდა მარიამის სახელობის ეკლესიაში, საკურთხევლის ფრესკის უკანა მხარეს მიქელანჯელო ბუანაროტის ხელმოწერის იდენტური წარწერა აღმოაჩინეს. წარწერა მოზრდილი ქვის უკან იმალებოდა. ლოდის გადატანა მას შემდეგ გადაწყდა, რაც ამ ეკლესიის მოძღვართან ხნიერი მამაკაცი მივიდა და აღიარა, რომ ყმაწვილკაცობის ჟამს საკურთხევლის მიღმა შეძვრა. აღსარებისას ისიც დასძინა, რომ იქ ძველი ინიციალები შეამჩნია.

სხვათა შორის, ეს აღმოჩენა დიდად არ გაჰკვირვებიათ ქალაქის მცხოვრებთ, რადგან მრავალი საუკუნის განმავლობაში მარჩიალაში ცოცხლობდა ლეგენდა, თითქოს მათ პატარა ეკლესიაში თავად მიქელანჯელო ბუანაროტი მუშაობდა. ამ ქალაქში იმასაც ამტკიცებენ, რომ სწორედ მაშინ, როცა მხატვრის მფარველი მედიჩები კრიზისს განიცდიდნენ, მათი ერთგული ბუანაროტი სწორედ მარჩიალას აფარებდა თავს. ეს ვერსია შესაძლოა საკმაოზე მეტად სარწმუნოც იყოს, რადგან აღნიშნული თარიღი (1494 წელი) მხატვრის ცხოვრებაში ბურუსითაა მოცული, თანაც, მისი ადგილსამყოფელი ამ პერიოდში ისტორიისთვის უცნობია.

რაც შეეხება ისტორიას, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში რამდენიმე მეცნიერი მიქელანჯელოს ხელს, სხვა მრავალთან ერთად, ერთ-ერთი წმინდა მარიამის ეკლესიის საკურთხეველს მიაკუთვნებდა. მიუხედავად ამისა, ხელოვნებათმცოდნეებსა და ექსპერტებს აქამდე სურვილი არ გასჩენიათ გაეგოთ, რომელ ეკლესიაზე საუბრობდნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში და ხომ არ იყო ეს ცნობები "პატარა ქალაქის" ლეგენდის დამადასტურებელი ფაქტები.

დღეს უკვე შეიქმნა სპეციალური ასოციაცია, რომელიც აღნიშნულ მოხატულობას ექსპერტიზას ჩაუტარებს. ცხადია, მხოლოდ ხელმოწერის მსგავსებით მხატვრობის "ამოხსნა" არ მოხდება. თუმცა, ისიც ბუნებრივია, რომ ინიციალების იდენტურობა უკვე მრავლისმთქმელია. ამ ასოციაციის ხელმძღვანელი ელზა მასი "გარდიანს" ატყობინებს, რომ ინიციალები M, B და F, რომლებიც საკურთხევლის უკანა მხარეს აღმოაჩინეს, აბსოლუტურ მსგავსებას ამჟღავნებს მიქელანჯელოს იმ ხელმოწერასთან, რომელსაც მის მიერ მოხატული ფლორენციის "სულიწმინდას" სახელობის ეკლესიის ერთ-ერთი კედელი ინახავს.

# ეკა და დანაშაული

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" თემაა სანდრო გვირგვლიანის მკვლელობა. გადაცემის სტუმრები არიან დეპუტატი კობა დავითაშვილი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, ადვოკატი ირაკლი ართილაყვა.

**ეკა კვესიტაძე**: რა მოხდა იმ საღამოს, როცა დაიღუპა სანდრო გვირგვლიანი?

**ირაკლი ართილაყვა**: მეც მხოლოდ ის ინფორმაცია მაქვს, რაც გაავრცელა პრესამ და რაც დედამისმა თქვა პრესკონფერენციაზე.

**ეკა კვესიტაძე**: მეგობარს რომ დროულად ეცნობებინა ოჯახისთვის ან შესაბამისი სტრუქტურებისთვის, შეიძლებოდა თუ არა მისი გადარჩენა?

**კობა დავითაშვილი**: არა მგონია სწორი იყოს მეგობრის მიმართ ასეთი პრეტენზია. მას არ გაუჩნდებოდა სურვილი დაერეკა სამართალდამცავებთან, რადგან თვითონ ისინი იყვნენ მკვლელობის ორგანიზატორები. გარდა ამისა, მეგობარი მთლიანად ტიტველი იყო, ნაცემი და ნაწამები. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

**ეკა კვესიტაძე**: საიდან იცოდა მეგობარმა, რომ ეს სამართალდამცავი სტრუქტურების ორგანიზებული იყო?

**კობა დავითაშვილი**: ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერ ამას წინ უძღოდა ინციდენტი ბარში. არის ამის მტკიცებულებებიც და არსებობს მოწმეც. ჩვენ ყველამ ვნახეთ ეს სიუჟეტი.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არ გადაეცა დღემდე ეს მკვლელობა გენერალურ პროკურატურას?

**კობა დავითაშვილი**: მე მგონი ხელისუფლება ვერ აცნობიერებს სიტუაციის არსს, მისი მხრიდან არასერიოზული მიდგომა იგრძნობა. ჩვენ ამ მკვლელობას არ განვიხილავთ, როგორც კრიმინალურ ქმედებას. ეს არის პირდაპირი მუქარა ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, ვინც არასასიამოვნოს იტყვის ხელისუფლების მიმართ.

**ეკა კვესიტაძე**: ესე იგი, ხელისუფლება ნერგავს ტერორს?

**კობა დავითაშვილი**: დიახ, ხელისუფლება ნერგავს ტერორს.

**ეკა კვესიტაძე**: რა ეტაპზეა დღეს გამოძიება?

**ირაკლი ართილაყვა**: ჩემთვის უცნობია რა გაკეთდა. პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა, რადგან გარდაცვლილის ოჯახისთვისაც კი არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

**კობა დავითაშვილი**: ობიექტური გამოძიების სურვილი რომ იყოს, არსებობს ორი მტკიცებულება: მანქანა და გასროლილი მასრა, რომელიც ვერ აღმოაჩინა გამოძიებამ.

**ეკა კვესიტაძე**: ბატონო კობა, გამოძიების დასრულების შემდეგ ხელისუფლება რომ უდანაშაულო აღმოჩნდეს, როგორი იქნება თქვენი რეაქცია?

**კობა დავითაშვილი**: მე ამ შესაძლებლობას არ ვუშვებ, რადგან იგი თეორიულადაც კი გამორიცხულია.

**ეკა კვესიტაძე**: რა უნდა გააკეთოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თუ ამ სამართალდამცავების დანაშაული ჯერჯერობით არ დგინდება, ანუ არ არსებობს მტკიცებულებები?

**კობა დავითაშვილი**: ჩვენი მოთხოვნები იყო მინიმალური: ეს პირები, დროებით მაინც, გამოძიების დამთავრებამდე უნდა ჩამოეშორებინათ თანამდებობებისთვის. ნებისმიერ დიქტატორულ ქვეყანაში, ფორმალურად მაინც, ხელისუფლება ამას გააკეთებდა. და მეორეც: მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები არიან ეჭვმიტანილი, ეს უწყება არ უნდა გვიწევდეს წინააღმდეგობას.

**ეკა კვესიტაძე**: ოპოზიცია უნდა შეხვდეს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს. რას აპირებთ, რა იქნება თქვენი კონკრეტული კითხვები და რა პასუხს ელით?

**კობა დავითაშვილი**: ჩვენი კითხვები ცნობილია, ისინი წინასწარ გაგზავნილია. რატომ იძიებს ჯერ კიდევ ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო? რატომ არ არიან დაკითხული ჯერ კიდევ იქ მყოფი პირები? რატომ არიან ეს პირები თანამდებობებზე? მე პასუხებს არ ველოდები. ველოდები თუნდაც ერთი ადამიანის თანამდებობიდან გადაყენებას.

**ეკა კვესიტაძე**: ხომ არ ფიქრობთ, რომ გვირგვლიანის მკვლელობის გადაფარვას ხელისუფლება კალაძის საქმით აპირებს?

**კობა დავითაშვილი**: მართალი გითხრათ, ამას არ ვფიქრობ, მაგრამ თუ აპირებს, ვერ მოახერხებს. თუმცა, არის სხვადასხვა თემებით გადაფარვის მცდელობა.

**ეკა კვესიტაძე**: გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ ხელისუფლება შემობრუნდება საზოგადოებისკენ?

**კობა დავითაშვილი**: ჯერჯერობით კი.



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის შესახებ

**1.** ბოლნისის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური (მისამართი: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, რაიონის გამგეობის შენობა. ს ს "საქართველოს ბანკი" ა\ა 3303000001) აცხადებს ტენდერს სოფ. ქვეშის გაზიფიცირების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმანტაციაში.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 მარტიდან 19 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა, 1 სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
- ცნობას შესყიდაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

5. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 17 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, რაიონის გამგებლის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი (ტელ. 899 15-57-70), მისამართზე ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106, (რაიონის გამგეობის შენობა, III სართული).

**სატენდერო კომისის თავმჯდომარე**
**რაიონის გამგებლის მოადგილე: ბ. რეხვიაშვილი**

# სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება

ს.ს.ი.პ. - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC), რომელიც შეიქმნა პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N149 დადგენილებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და ფინანსთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით, პასუხისმგებელია სამი მიმდინარე პროექტის - სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი (ARET), ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორიგანიზაციების განვითარების პროექტი (IDCDP) და სოფლის განვითარების პროექტი (RDP) - კოორდინაციასა და საერთო მართვაზე. პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მთავარი ადმინისტრაციული ჯგუფის მოვალეობები მოიცავს ზემოაღნიშნული პროექტების უზრუნველყოფას მასზე დაკისრებული ძირითადი მომსახურებით - ფინანსური მენეჯმენტი, ხარჯების მართვა, შესყიდვები, იურიდიული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობა და მონიტორინგი და შეფასება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს შესარჩევ კონკურსს პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

**ძირითადი მოვალეობები:** პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს ეკისრება შემდეგი სახის მომსახურების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა 1) კადრების მართვა; 2) ფინანსური მართვა და საბუღალტრო მომსახურება; 3) შესყიდვები პროექტების საკოორდინაციო ცენტრის პროექტებისათვის. დირექტორი პასუხისმგებელი იქნება პროექტების ზედა რანგის მენეჯერების ხელმძღვანელობასა და პროექტების მომზადება-განხორციელების ყველა ღონისძიების ზედამხედველობაზე. დირექტორი პასუხისმგებელი იქნება ასევე საგარეო კავშირებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და პროექტების ინტერესების წარმოდგენაზე სახელმწიფო უწყებების, პარლამენტის, დონორებისა და სხვა სახის ორგანიზაციების წინაშე.

**შერჩევის კრიტერიუმები:**

**წარმატების კრიტიკული ფაქტორები:**

- პრობლემების დადგენისა და ანალიზის უნარი და სოფლის მეურნეობის დარგის სპეციფიური პრობლემების გადაჭრის ეფექტური სტრატეგიის შემუშავების უნარი;
- კომპლექსური ამოცანების გადაჭრის უნარი;
- პირადი და წერილობითი ურთიერთობის ჩინებული უნარი;
- გუნდური მუშაობისა და სხვადასხვა კულტურისა და სოციალური წარმომავლობის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

**თანამდებობისათვის საჭირო უნარი და გამოცდილება:**

- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება ნამსახურობის წარმატებული ნუსხით;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში მუშაობის მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება;
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტის, საბანკო საქმისა და ფინანსების, სოფლის მეურნოების ეკონომიკის, აგროტექნიკის ან სხვა შესაბამის დარგში;
- ურთიერთობისა და მოლაპარაკებების წარმოების ჩინებული უნარი;
- სასაუბრო და წერილობითი ქართული და ინგლისური ენების ღრმა ცოდნა.
- კომპიუტერის ცოდნა.

**თანამდებობისათვის სასურველი უნარი და გამოცდილება:**

- ტრეინინგი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, აგრარული პოლიტიკის ან აგროტექნიკის, სოფლის მეურნეობის დარგისათვის კრედიტების გაცემის სფეროებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
- საზღვარგარეთ მუშაობის ან სწავლის გამოცდილება;
- ფინანსური მართვის, საბუღალტრო აღრიცხვის, შესყიდვების, გახარჯვების და საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოყენებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების ცოდნა;
- ბაკალავრზე მაღალი სამეცნიერო ხარისხი.

შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების "კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ" შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის ტექნიკური დავალების გაცნობა შესაძლებელია სამუშაო დღეებში 10-დან 18 საათამდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე; დიპლომისა და სერტიფიკატის ასლები, რეკომენდაცია(ები).

დოკუმენტების მიღების ბოლო ვადაა: 2006 წლის 13 მარტი 1800 საათი.

მისამართი:
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
კოსტავას ქ.N41
ოთახი N 507
საკონტაქტო პირი: თამარ კაპანაძე
საერთაშორისო პროექტების მართვის სამმართველო
ტელ: (995 32) 93 42 01
ელ.ფოსტა: tamunakpn@yahoo.co.uk

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი №6 საფოსტო ინდექსი 380079, აცხადებს ღია ტენდერს დასასვენებელ და საცხოვრებელ კომპლექსში მზა ფართის შესყიდვაზე.

შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: მდებარეობა - ხელვაჩაურის რაიონში არსებული ტერიტორია ზღვის სანაპიროდან მაქსიმუმ 300-მეტრიან რადიუსში; ფართი მინიმუმ 550 კვ მ, მაქსიმუმ 600 კვ მ; მდგომარეობა - მზა ფართში უნდა არსებობდეს:

1) ტიხრები გალესილი წინა სამღებრო სამუშაოების დონეზე;
2) ფუნქციონირებადი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის საერთო დგარები, სავენტილაციო არხები;
3) ელექტროგაყვანილობა კედელში ჩაშენებული და ელექტრო არმატურა დაყენებული;
4) მზა ფართის გარე პერიმეტრი უნდა იყოს შემოზღუდული ფანჯრებით და ოთახებში შესასვლელი კარებები ჩასმული.

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს და წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 100 დღისა.

2. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის, 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "რესპუბლიკა", ანგარიშის № 700198, კოდი 220101757, განცხადების გამოქვეყნებიდან 2006 წლის 22 მარტის 15 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი №6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი"-ს" ოფისში, სახელმწიფო შესყივების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა 24.03.2006 წ. 10 საათიდან 27.03.2006 წლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ7 თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი №6 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

4. პრეტენდენტის მიე წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი6 ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის საკუთრების შესახებ ამონაწერი;
- ცნობა მიწაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- მშენებლობის ნებართვა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების და ყადაღის არარსებობის შესახებ ამონაწერი (მზა ფართის არსებობის შემთხვევაში).

ამხანაგობისათვის:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამხანაგობის წესდება;
- მიწის საკუთრების შესახებ ამონაწერი;
- ცნობა მიწაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- მშენებლობის ნებართვა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების და ყადაღის არარსებობის შესახებ ამონაწერი (მზა ფართის არსებობის შემთხვევაში).

ფიზიკური პირისათვის:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი);
- მიწის საკუთრების შესახებ ამონაწერი;
- ცნობა მიწაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- მშენებლობის ნებართვა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის საკუთრების და ყადაღის არარსებობის შესახებ ამონაწერი (მზა ფართის არსებობის შემთხვევაში).

5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, მოხდება 2006 წლის 27 მარტს დღის 15 საათზე პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.,

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ შალვა ქაჯაიას მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" ი. ჭავჭავაძის I შესახვევი №6. ტელეფონი: 24 10 31, მობ. 899 94 67 97.

# მოწვევა ინტერესის გამოსახატად საკონსულტაციო მომსახურება

| | |
|---|---|
| ქვეყანა: | საქართველო |
| პროექტი: | "კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესება" |
| დაფინანსების წყარო: | იაპონიის სოციალური განვითარების ფონდი |
| სექტორი: | საკონსულტაციო მომსახურება |
| გრანტის ნომერი: | TF 050946 |
| პროექტის ID ნომერი: | P060009/P050911 |
| საკითხი: | ინტერესის გამოხატვა საკონსულტაციო მომსახურებაზე |
| დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადა: | 2006 წლის 7 მარტი |

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მეშვეობით მოიპოვა იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის გრანტი კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და აპირებს საგრანტო სახსრების ნაწილით დააფინანსოს საკონსულტაციო მომსახურება: "კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტის" ("კოლხეთის სათემო განვითარების პროექტი") მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს "კოლხეთის სათემო განვითარების პროექტის" მიმდინარეობისა და შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგსა და შეფასებას, კერძოდ: 1) პროექტის მიმდინარეობის, მისი ძირითადი შედეგებისა და მიღწევების მონიტორინგი და შეფასება; 2) ბენეფიციარებზე პროექტის ზემოქმედების ეფექტურობის განსაზღვრა; 3) ადგილობრივი თემების, სათემო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების გაძლიერების მონიტორინგი და შეფასება.

"სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი" იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საკონსულტაციო/არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოხატონ ინტერესი საკონსულტაციო მომსახურებისათვის. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მოგვაწოდონ სათანადო ინფორმაცია (ადრე შესრულებული მსგავსი სამუშაოების ამსახველი ბროშურები, ინფორმაცია კონსულტანტის ანNარასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობებზე, რომელიც უნდა ადასტურებდეს კონსულტანტის ან არასამთავრობო ორგანიზაციის ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილებას და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობას, და სხვ.), რომელიც დაადასტურებდა მათ შესაძლებლობებს, შეასრულონ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურება. საკონსულტაციო/არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გასაძლიერებლად.

საკონსულტაციო/არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- წარმოადგენს იურიდიულად რეგისტრირებულ პირს;
- აქვს სულ მცირე 5 წლის გამოცდილება დასალავლეთ საქართველოში სოციალური განვითარების და უნარ-ჩვევების გაძლიერების პროექტების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების;
- აქვს წარმომადგენლობა გურიის და/ან სამეგრელოს რეგიონებში;
- კარგად ესმის რეგიონის სოცილურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი საკითხები.

საკონსულტაციო/არასამთავრობო ორგანიზაციის შერჩევა იწარმოებს მსოფლიო ბანკის პროცედურების მიხედვით: "მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება", 1997 წლის იანვარი (1997 წლის სექტემბრის, 1999 წლის იანვრის და 2002 წლის მაისის შესწორებებით), ***კონსულტანტის კვალიფიკაციის მიხედვით შერჩევის მეთოდის გამოყენებით (CQ).***

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება 10-დან 18 საათამდე (ადგილობრივი დროით) ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო მისამართზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ამავე მისამართზე. დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადა 2006 წლის 7 მარტი 17:00 საათი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის შესახებ შესაძლებელია ს.ზ.ი.მ. ცენტრის ინტერნეტ გვერდზე www.ICZM.org.ge და/ან ელექტრონული ფოსტით.

მისამართი: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების სამინისტრო
ქეთევან ჩომახიძე, გრანტების მენეჯერი
თბილისი, გულუას ქ.N6, მე-6 სართული
ტელეფონი/ ფაქსი: + 995 (32) 75-50-40
მობილური: + 995 (99) 111-556
ელექტრონული ფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge
ინტერნეტის გვერდი: www.ICZM.org.ge .

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს ლოტად დაყოფილ მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი N1: ხაშურის რაიონში სოფ. გომთან მდ. მტკვარზე ჯებირის მოწყობის სამუშაოები;

ლოტი N2: თიანეთის რაიონში წყალმომარაგების სისტემის ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ლოტი N3: ლაგოდეხის რაიონში სოფ. უზუნთალასთან, სოფ. კაბალთან, სოფ. დონასთან და სოფ. გიორგეთთან მდ. კაბალის კალაპოტის გაწმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ლოტი N4: სენაკის რაიონში სოფ. გოლასკერსა და სოფ. მუხურთან მდ. ცივზე კალაპოტის გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ლოტიN5: სენაკის რაიონში სოფ. გუჯეთთან და სოფ. კოტიანეთთან მდ. ტეხურაზე კალაპოტის გაწმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ლოტი N6: ხობის რაიონში სოფ. პირველ ხორგასთან, სოფ. გურიფულთან, სოფ. ქარიათთან, სოფ. შუა ხორგასთან და სოფ. ახალსოფელთან მდ. ხობისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

2. სამუშაოების შესრულების ვადები - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების შესრულების ვადების ფარგლებში).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, N1, N2 და N3 ლოტებზე 2006 წლის 5 მარტიდან, N4, N5 და N6 ლოტებზე კი - 2006 წლის 9 მარტიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ექვსივე ლოტზე. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 17 მარტის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 18 მარტის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება (სატენდერო წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს ლოტების მიხედვით).

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული ან/და ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ზემოთ აღნიშნული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები:

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ინფორმაციას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: სასურველია მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

**5.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

10. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის, ქ. ქუთაისში გამავალი მონაკვეთის (სიგრძით 5.6კმ) მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების შესრულების ვადების ფარგლებში).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 5 მარტიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 17 მარტის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 18 მარტის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული ან/და ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ზემოთ აღნიშნული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები:

შენიშვნა:

